გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 51
(11 508)

3 – 5 ივლისი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სასიხარულო ცნობა იზმირიდან

გუშინ, ნაშუადღევს, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ ფაქსი მიიღო თურქეთის ქალაქ იზმირიდან, სადაც დამთავრდა ევროპის პირველობა ჭაბუკთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში. საქართველოს ნაკრები გუნდურ პირველობაში მესამე ადგილზე გასულა. პირად პირველობაში გამარჯვებულთა შორისაა თბილისელი ზვიად სისაური (100 კგ), მეორე პრიზიორები გახდნენ ბოლნისელი მალხაზ ქურდიანი (54) და თბილისელი ლერი ქეთიშვილი (85), მესამე ადგილი ხვდა ქუთაისელ რამაზ გაგნიძეს (50).

გუშინვე, იქვე, დაიწყო ამავე ასაკის სპორტსმენთა ევროპის პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

2

მძლეოსნები შინ და გარეთ...

ქ. არტაშატში გამართულ გარიკ გუკასიანის ხსოვნის ტურნირში საქართველოს მძლეოსნებიც მონაწილეობდნენ. 100 მეტრზე რბენაში პირველი იყო რუსლან რუსიძე, მეორე — კახაბერ ვაჩეიშვილი, 400 მეტრზე გაიმარჯვა რომან მანუკიანმა, 1500 მეტრზე მესამე პრიზიორი გახდა ანდრო მეტრეველი, 5000 მეტრზე პირველი იყო ზიგმუნდ ზილბერშტეინი, მესამე კი ჰამლეტ მამიკონიანი.. სიგრძეზე ხტომაში მესამე ადგილი ხვდა დავით ილარიანს.

* * *

თბილისის ნახევარმარათონში, რომელიც ახლახან გაიმართა, ადგილები ასე განაწილდა: 1. ზიგმუნდ ზილბერშტეინი (ახალციხე), 2. ჰამლეტ მამიკონიანი (თბილისი), 3. გიორგი გოგატიშვილი (ბორჯომი).

ბავშვთა ფეხბურთი

5

მზია ჯულელიდან – უსასრულობისაკენ

3

მისაელ შუმახერი ახლოსაა მიზანთან

3

კუბელი ოსლეიდის მენანდესი მსოფლიო რეკორდსმენია

უიმბლდონის ტურნირის ირბეველი

ალექსანდრე მეგრეველი ფავორიზების შესახებ

8



2 ივლისი სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღეა

2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმში, შავიზღვისპირეთის ჩემპიონაზზე

ბათუმი (ჩვენი სპეც. კორ) შავიზღვისპირეთის საჭადრაკო ჩემპიონატმა ძლიერი შემადგენლობა შემოიკრიბა. ამასთან, ვაჟებთან ერთად, რამდენიმე დიდოსტატი ქალიც იბრძვის, მათ შორის ევროპის შარშანდელი ჩემპიონი ნატალია ჟუკოვა.

ასპარეზობა შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობს, 9 ტურად და გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას მიიღებს.

პირველობაზე უკვე მეორე, გადამწყვეტი ნახევარი დაიწყო. 4 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით წინ იყვნენ საერთაშორისო ოსტატი ხვიჩა სუპატაშვილი (ქუთაისი) და ახალგაზრდა სომეხი დიდოსტატი არტემ ეგიაზარიანი. დებულების თანახმად შეხვედრა ტურში სწორედ ეს ორი ლიდერი შეხვდა ერთმანეთს. სუპატაშვილმა კვლავ შესანიშნავად ითამაშა, ზედიზედ მეხუთე პარტიაც მოიგო და ახლა ერთპიროვნული ლიდერია.

4,5 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა ახალგაზრდა საერთაშორისო ოსტატმა ზვიად იზორიამ. ექვსმა მონაწილემ 4-4 ქულა მოაგროვა. საინტერესოა, რომ მათ შორის ორი დიდოსტატი ქალია: მაია ლომინეიშვილი და ანა ზატონსკიხი (უკრაინა). ნატალია ჟუკოვას 3 ქულა აქვს.

ჩემპიონატის დამთავრებამდე 4 ტური რჩება. ისე რომ, ძირითადი ბრძოლა პირველი ადგილისათვის ჯერ წინაა.

6

არგენტინა – საფრანგეთი

სავიოლას ჰეთ-თრიკმა არგენტინა ფეხბურთში ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიყვანა...

კამერუნისა და სამხრეთ აფრიკის ეროვნულმა ნაკრებმა გუნდებმა ფეხბურთში 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური გაინაღდეს. ასე რომ, დღეისათვის, 32 ფინალისტიდან 5 უკვე ცნობილია: **საფრანგეთი** (როგორც მსოფლიო ჩემპიონი), **კორეა** და **იაპონია**, როგორც მასპინძელი ქვეყნები, **კამერუნი** და **სამხ. აფრიკა.**

6

იტალია – საფრანგეთი

წოდების მინიჭება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, საქართველოში რაგბის დანერგვა-განვითარების ერთ-ერთ ფუძემდებელს, დაბადებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით, ***დავით კოლასონიას*** „საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის“ წოდება მიენიჭა.

მილოცვა

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია დაბადებიდან 70 წლისთავს უსოცავს ამავე ფედერაციის გენერალურ მდივანს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენოსან **ბივი მძელურს.**

* * *

„ლელოს“ რედაქცია დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს სპორტის ღვაწლმოსილ მუშაკს საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის გენერალურ მდივანს **ბივი მძელურს.**

გაზეთის დაბეჭდვის წინ:

რონალდო ბრაზილიაში თავისიანების დასახმარებლად გაფრინდა

ბრაზილიის ნაკრების უსუსურობამ და იმის საშიშროებამ, რომ იგი შეიძლება ვერ მოხვდეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, რონალდო აიძულა თავისი ჯანმრთელობის ფასად ითამაშოს ნაკრებში. არადა, ცნობილი იყო, რომ ტრავმების გამო ეს ფეხბურთელი ნაკრებში მომავალი წლის ზაფხულამდე ვერ ითამაშებდა. ახლა კი გადაწყვიტა, 14 აგვისტოს პარაგვაის წინააღმდეგ დაეხმაროს თავისიანებს, პარაგვაისთან გამარჯვება ბრაზილ ას აუცილებლად ესაჭიროება.

რაიკარდი მნვრთნელობას უბრუნდება

ფეხბურთის ცნობილი ჰოლანდიელი სპეციალისტი ფრანკ რაიკარდი გუშინ, დადებული კონტრაქტის თანახმად, სამი წლით სათავეში ჩაუდგება როტერდამის „სპარტას“. ამ სეზონში ეს გუნდი პირველი დივიზიონიდან გავარდნას მხოლოდ გადასასვლელი თამაშების წყალობით გადაურჩა.

პრემიერ-ლიგის გოლების ნახვა მობილურითაც შეიძლება

ინგლისის პრემიერ-ლიგამ ხელი მოაწერა კონტრაქტს კომპანიასთან, რომელიც უზრუნველყოფს ინგლისის ფეხბურთის მობილურ კავშირს. 2002 წლიდან აბონემენტების მფლობელები, რომლებიც შეიძენენ სპეციალურ მობილურ ტელეფონს, შეძლებენ მიიღონ ინფორმაცია ყველა გატანილი გოლის შესახებ. გარდა ამისა, ტელეფონებში ჩამონტაჟებული იქნება პატარა ეკრანი, რომლითაც ყველა გოლის ნახვა იქნება შესაძლებელი.

ფეხბურთი • ეროვნული ჩემპიონატები შვედეთი

ჰამარბი — ჰელსინბორგი 3-1
მალმიო — სუნდსვალი 2-0
იორებრო — ჰალმსტადი 1-1

სხვა ახალი ამბები იხ. მე-5 გვ

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

SALT LAKE 2002
TM © 1997 SLOC 36 USC 380

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 1 თვე დარჩა

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 221 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

ვეტერანი პროფესიონალები პლუს მოყვარულები

ჩოგბურთი

ლ. მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დამთავრდა წარსულში ცნობილი ჩოგბურთელის ა. მდივნის ხსოვნის პირველი ტურნირი წყვილთა თანრიგში. სისტემა ორიგინალური იყო. ვეტერანი და პროფესიონალი ჩოგბურთელი პლუს მოყვარული. საასპარეზოდ 16 წყვილმა მოიყარა თავი, მათ შორის იყვნენ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებულები და პრიზიორები გ. ელერდაშვილი, ვ. ბაქში, ნ. ელერდაშვილი, უძლიერესი მოყვარულები. შეხვედრები გაიმართა ერთ სეტად.

უძლიერესი წყვილის სახელი მოიპოვეს დინამოელებმა ვიქტორ ბაქშიმ და გივი სიხარულიძემ, რომლებმაც ფინალში მოუგეს ოთარ ცხვარაშვილ — ალექსანდრე ჩეკულაევის წყვილს — 9:4. შეჯიბრების მონაწილენი დაესწრნენ ა. მდივნის მემორიალური დაფის გახსნას ძმები ზუბალაშვილების ქუჩის იმ სახლზე, სადაც ა. მდივანი ცხოვრობდა.

მესამე ადგილზე გავიდა დავით ასათიან — ირაკლი თოფურიძის წყვილი, მეოთხე იყო გია ელერდაშვილ — მირიან ანდრიაძის დუეტი.

მთავარი მსაჯი იყო ვლადიმერ გოგლიძე. მემორიალი ერთობლივად ჩაატარეს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციამ და არჩილ მდივნის ოჯახმა.

ტურნირში გამარჯვებულები გ. სიხარულიძე (მარცხნივ) და ვ. ბაქში

სპორტულ ჟურნალისტთა დღესასწაული

გუშინ, 2 ივლისს სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღე მთელ მსოფლიოში აღინიშნა. ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება თბილისშიც გაიმართა, რომელიც ამავე დროს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ათი წლისთავს დაუკავშირდა. საღამო გახსნა და გაუძღვა კომენტატორი თემურ ჯაფარიძე. შეკრებილთ მიესალმა სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი, ვეტერანი ლელოელი თენგიზ გიორგაძე, რადიოჟურნალისტი თამილა კახიძე და საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი, რომელმაც დეპარტამენტის სიგელით დააჯილდოვა ჟურნალისტთა დიდი ჯგუფი. სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება მიენიჭათ თამარ ბალავაძეს, თამილა კახიძეს, თამაზ მიგრიაულს და უშანგ ჭიჭინაძეს. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით თამარ ბალავაძე და თემურ ჯაფარიძე ღირსების ორდენებით დაჯილდოვდნენ.

შეკრებაზე გამოცხადდა, რომ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ერთობლივი გადაწყვეტილებით, ამიერიდან სპორტული მედიის წარმომადგენლები მიხეილ კაკაბაძისა და ნოდარ გუგუშვილის პრემიებთან ერთად, ოთხ ახალ ჯილდოს გაინაწილებენ: 1. წლის საუკეთესო პუბლიკაციისათვის; 2. წლის საუკეთესო სატელევიზიო გადაცემისათვის; 3. წლის საუკეთეს. რადიოგადაცემისათვის; 4. წლის საუკეთესო ფოტოსათვის. პრემიების მინიჭების წესი გამოქვეყნდა სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ სპეციალურ გაზეთში „სპორტმედია“.

Nestlé
Nesquik
ნესტლე
ნესქვიკი
საუკეთესო
სპონსორი ივნისში

„ნესქვიკი“ უყვარს ბავშვებს, მაგრამ, რაც მთავარია, ბავშვები უყვარს „ნესქვიკს“ და ეს რომ ასეა, ნუგბარის მწარმოებელმა ამ ფირმამ გასულ თვეში დაამტკიცა, როცა საქართველოს მოსწავლეთა პირველი თამაშების სპონსორად მოგვევლინა. საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს და განათლების სამინისტროს ეს ფირმა მხარში დაუდგა და თუ ეს კომპლექსური ღონისძიება წარმატებით ჩატარდა, „ნესქვიკის“ დიდი დამსახურებაცაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „ლელოს“ რედაქციამ ქართული სპორტის საუკეთესო სპონსორად ივნისში „ნესქვიკი“ სცნო.

ლელო მაფიანე 50 წლის წინათ

გალი. ქალაქის კულტურის სახლში ჩატარდა აფხაზეთის სოფლის სპორტსმენთა პირველობა ქართულ ჭიდაობაში. პირველობა მოიპოვეს: გ. მაისურაძემ, ს. მაისურაძემ, გ. მაისურაძემ (სამივე — სოხუმი), ჭ. კვიკვისკირმა, კ. ციკოლიამ (ორივე — გალი), ლ. ჯერგენიამ და შ. ჯენიამ (ორივე — გუდაუთა).

თბილისი. 1951 წლის გაზაფხულზე თბილისში პირველად ჩატარდა დედაქალაქის ქალთა სპარტაკიადა სპორტის თერთმეტ სახეობაში.

გ ირი. ქალაქის პედინსტიტუტის სპორტულ დარბაზში ჩატარდა 5 ქალაქის — ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ფოთის და გორის ტრადიციული ტურნირი ვაჟთა და ქალ კალათბურთელთა გუნდების მონაწილეობით. ორივე ტურნირში გაიმარჯვეს სოხუმელებმა.

სოხუმი. დრამატულ თეატრში გაიმართა სოხუმისა და ქუთაისის მოკრივეთა მატჩი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 6:2.

ბათუმი. ბათუმისა და ფოთის მოკრივეთა შეხვედრაში გაიმარჯვეს ვ. ბარამიძემ, ვ. შელკუნოვმა, ე. შაქარჯიანმა, ვ. იაზევმა, ც. გოგიბერიძემ, რ. ბიძიანმა, კ. ბაბახანიდიმ (ყველა — ბათუმი), მძიმე წონაში მასპინძლებმა მეტოქე არ გამოიყვანეს და გამარჯვება ფოთელ მოკრივეს მიენიჭა.

გივი კიბოსნიძის პრიზი მეოთხედ გათამაშდა

ათეული წლებია ჩვენში ბილიარდი გივი კიბოსნიძის სახელთან ასოცირდება. ამ უბადლო ოსტატის სახელობის პრიზის ტრადიციული გათამაშება, როგორც ადრე, ამჯერადაც მუშთაიდის ბაღის ბილიარდის კლუბში ჩატარდა კლასიკურ პირამიდაში. მონაწილეთა სახეებიც ნაცნობი იყო. თბილისელთა გარდა, პრიზისთვის იბრძოდნენ გორის, ფოთის, ოზურგეთის, სოხუმის და ბათუმის წარმომადგენლები. 36 მონაწილიდან 16 ვეტერანი, ასე ვთქვათ, გივი კობოსნიძის პირდაპირი მემკვიდრეები იყვნენ. მათ ცალკე გაითამაშეს პრიზი. აქ პირველობა წილად ხვდა ბილიარდის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოს თამაზ შილაკაძეს, რომელმაც ფინალში გიორგი იმერლიშვილს მოუგო. მესამე იყო ყველაზე უხუცესი მონაწილე, 85 წლის აკაკი გუმბერიძე. სამივე პრიზიორი თბილისიდანაა.

მოქმედ სპორტსმენთა შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. თემურ დონაძე (თბილისი), 2. დავით ფიფია (ბათუმი), 3. არტურ პოღოსიანი (თბილისი).

გამარჯვებულებს გადაეცათ პრიზები. შეჯიბრების ორგანიზატორი იყო ბილიარდის ეროვნული ფედერაცია და თბილისის მერიის სპორტის, სკოლიგარეშე ფიზაღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური. მთავარი მსაჯი გურამ უბილავა.

* * *

29 ივნისს დაიწყო საქართველოს ბილიარდის კლუბების ტურნირი. გამარჯვებული სექტემბრის ბოლოს სოჭში მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატში იასპარეზებს. 8-11 ნოემბერს კი მოსკოვში ჭაბუკთა (18 წლამდე) მსოფლიოს თასის მეორე ეტაპი ჩატარდება, ხოლო თბილისი, ნოემბერშივე, კავკასიის თასზე ღია ტურნირს უმასპინძლებს.

რობერტ ყარსელი

რობერტ ბაგოიანის ფოტოები

საქართველოს არბიტრები საერთაშორისო არენაზე

დათო სახვაძე

ჯერ კიდევ პატარა ბიჭუნა იყო, როცა პირველად შეავლო თვალი საფარიკაო იარაღს და გრძლად გაფენილ ნოხისნაირ ბილიკზე უცნაურ ტანსაცმელში გამოწყობილი ჩაფხუტიანი ბიჭების „ხმალაობას“ ბიძამისს, ცნობილ ქართველ მოფარიკავეს მორის სახვაძეს დაჰყავდა დარბაზში ვარჯიშებზე. ეზოში გადაიტანა ნანახი და თანატოლებს ჯერ ხით ეხმალავებოდა გამუდმებით. რაც მართალია, მართალია, ნამდვილ მუშკეტერებს მოძრაობებითაც ბაძავდა და ეზოს თუ უბნის ბიჭები გაოცებული რჩებოდნენ მისი „ოსტატობით“.

1980 წლიდან ნამდვილი საფარიკაო იარაღი აიღო ხელში. მაშინ ჯერ 12 წლისაც არ იყო. ლუდვიგ ღაღანიძის შეგირდი გახდა. მერე რაპირით შეჯიბრებებში მონაწილეობის დროც დადგა. პირველი ნათლობა დიდ სპორტულ სარბიელზე კი ტაშკენტში მიიღო – მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში გამოდიოდა საქართველოს ნაკრებ გუნდში. მერე იყო სხვადასხვა ტურნირები, გახდა სპორტის ოსტატი. ბოლოს სამხედრო სამსახურში ყოფნისას გამოდიოდა შეჯიბრებებში. 1990 წელს შინ დაბრუნდა, მაგრამ წვრთნა აღარ გაუგრძელებია, საქართველოში ახალი ერა იწყებოდა.

პატარაობისას მსაჯობასაც ადევნებდა თვალყურს და ოცნებად დაისახა, როგორც კი წამოიზრდებოდა, თავადაც დაეწყო მსაჯობა. მართლაც ადრე დაიწყო ნაოცნებარის ახდენა, სპორტსმენობის პირველ პერიოდშივე.

ერთხანს 10 თვით ისრაელში მოხდა სამკურნალოდ. მაშინ პირველად იმსაჯა საერთაშორისო შეჯიბრება – „მაკაბიადა“. მორის სახვაძე ამ ასპარეზობის კომისარი იყო. იქედან მოყოლებული აქტიურად ჩაერთო მსაჯობაში. ირანში საერთაშორისო ტურნირზეც მიიწვიეს, მაშინ კი ანტალიაში იმსაჯა იუნიორთა საერთაშორისო შეჯიბრება. შარშანვე. ირანის ქალაქ შირაზში გამოცდები ჩააბარა და „ბ“ კატეგორიის მსაჯი გახდა. ამაზე მაღალი მხოლოდ „ა“ კატეგორიაა, რასაც უკვე არა გამოცდების შედეგად, არამედ პრაქტიკული გამოცდილების მიხედვით ანიჭებს საგანგებო კომისია. ამ გზაზეც პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა – მსოფლიოს 28 რჩეულ არბიტრთა შორის. მსაჯობდა იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატს. რამდენიმე თვეში კი, კერძოდ, ოქტომბრის ბოლოს და ნოემბრის დასაწყისში, დიდების (სენიორები) მსოფლიო ჩემპიონატზე მიწვეულთა შორის მოხვდა.

დათო სახვაძე ერთადერთია საქართველოდან, რომელსაც საერთაშორისო შეჯიბრებებზე იძახებენ დაშნასა და ხმალში სამსაჯოდ. დათოს გადაწყვეტილი აქვს წლეულს მოსკოვში რაპირაში მსაჯობის გამოცდებიც ჩააბაროს. ამასთან, აგვისტო-სექტემბერში იგი ინსტრუქტორთა კურსებზეცაა მიწვეული. მანამდე კი ისევ ისრაელი და ისევ „მაკაბიადაზე“ მსაჯობა ელოდება.

სურათზე: · დათო სახვაძე საერთაშორისო ასპარეზობის მსაჯობისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები

მზია ჯუღელიდან — უსასრულობისაკენ

ტანვარჯიში სილამაზეა, სილამაზე – ტანვარჯიში, სპორტი! ფიზიკური მიმზიდველობით, ბუნებით მომადლებულთაც კი, ტანვარჯიში ისეთ წახნაგებს მატებს, რომელიც არ მიიღწევა არანაირი სხვა საშუალებებით, ცეცხლად ანთებს პიროვნებაში შინაგან ნაპერწკალს. ისინი სულ სხვა ადამიანები არიან ჩვენს გვერდით. მათ უფლება აქვთ თამამად განაცხადონ „მოვდივარ ლამაზი!“ და ეს სილამაზე, ეს ცეცხლი, ეს სიამაყე ბოლომდე რჩება მათში.

მზია ჯუღელიც ზემოთქმულის განსახიერება ნამდვილად იყო და არის. ბევრს დღესაც ახსოვს მისი სრულქმნილი მშვენიერება, ხოლო ვისაც იგი არ უნახავს ყმაწვილქალობაში, წელთა სიმრავლეს ბევრი რომ ვერაფერი დაუკლია, ამით რ[illegible]ბა გაოცებული. ასეთია სპორტისა და ადამიანის ასაკის ჰარმონია, ყოველ შემთხვევაში, ტანვარჯიშის მაგალითზე მაინც.

ტანვარჯიში, რაღა თქმა უნდა, არტისტიზმიცაა, რასაც ვარჯიშთა შესრულების შეფასებაში, ნატიფ ხელოვნებასთან ერთად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მსაჯები. როცა მზია უმაღლეს შეფასებას 10 ქულას იმსახურებდა, ამით ყველაფერი იყო ნათქვამი. ეს მერე შემოვიდა მოდაში შეჯიბრებებზე საუკეთესოთა გამოვლენა – მაყურებელთა თუ ჟურნალისტთა სიმპათიის დასახელება, თორემ, იმ წლებში, ასეთი რამ რომ ყოფილიყო, მზიას, ვინ იცის, რჩეულად რამდენჯერ აღიარებდნენ.

უკვე ვთქვით, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიცვალა დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი. უკვე ოლიმპიური სარბიელისკენაც გზა გახსნილია. ქვეყანაში უდიდესი ენთუზიაზმი სუფევს, უპირველესად ომის შედეგად დანგრეული სახალხო მეურნეობის აღსადგენად, პარალელურად ვითარდება მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა, სპორტი. ამ უკანასკნელის მიზანი გამოკვეთილია – ღირსეული მონაწილეობა 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებში, ჰელსინკში.

გავა წლები და საბჭოთა სპორტი უდიდეს ინდუსტრიად გადაიქცევა, რასაც საფუძველი 50-იანი წლების დასაწყისიდან ჩაეყარა. მართალია, წელში მთლად გამართული არ იყო ქვეყანა, მაგრამ წუთითაც არ შენელებულა სპორტისადმი ყურადღება სათანადო ფინანსური მხარდაჭერით. რაც მთავარია, სპორტი მეცნიერთა ყურადღების სფეროში ექცევა, ტარდება გამოკვლევები. ამ სფეროში თამამად შეიჭრა ფიზიოლოგია, ბიოქიმია, ბიომექანიკა, ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, აღარაფერს ვამბობთ, სპორტულ მედიცინაზე. მოვლენებს ოდნავ გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ სპორტში გამოკვლევები გათვლილი მხოლოდ მაღალი სპორტული შედეგების მიღწევაზე როდი იყო – ადამიანის შესაძლებლობებთან დაკავშირებით ბევრ კითხვაზეც უნდა გაეცა პასუხი. საბჭოთა კავშირი კოსმოსში გასაჭრელად ემზადებოდა.

გვახსენდება 60-იანი წლების დასაწყისში, როცა კარგა ხნით „გაუჩინარდა“ საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტის ბიომექანიკის კათედრის გამგე, პროფესორი ლევან ჩხაიძე. როგორც მერე გაირკვა, ეს კაცი მოსკოვში საიდუმლოდ მიიწვიეს და დიდი წვლილი შეიტანა კოსმონავტთა პირველი თაობის მომზადებაში.

დავუბრუნდეთ 1952 წლის ოლიმპიური თამაშების წინა პერიოდს. ოლიმპიადისთვის ტანმოვარჯიშეებიც ინტენსიურად ემზადებოდნენ. თუმცა, ჯერ კიდევ 1951 წელს არავინ იცოდა, სპორტის რომელი სახეობებით წარსდგებოდა საბჭოთა კავშირი ჰელსინკში. მთავარი შესარჩევი შეჯიბრებები 1952 წლისთვის იგეგმებოდა. ტანმოვარჯიშეები წლის დასაწყისში ხარკოვში შეიკრიბნენ. მზიამ აქ გამართულ შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა აბსოლუტურ პირველობაში. ცალკეულ იარაღებზე გამარჯვებულები და პრიზიორები არ გამოუვლენიათ.

მზია იგონებს: „ჰელსინკში გამგზავრებამდე ორ თვეზე მეტი სოჭში გავატარეთ შეკრებებზე, მერე ვიბორგში ჩაგვიყვანეს ფინეთის საზღვართან ახლოს. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადაპტაციისთვის, თუნდაც კლიმატური პირობების თვალსაზრისით. მარტო ჩვენ არა, იქ სხვა სპორტის სახეობებში საბჭოთა ნაკრებ გუნდებს მოუყარეს თავი, რათა ერთიანი დელეგაციის ატმოსფერო შექმნილიყო. ტანმოვარჯიშე თოთხმეტი ვიყავით, ვიცოდით, რომ ჰელსინკში წავიდოდა მხოლოდ ცხრა რჩეული, აქედან ერთი სათადარიგო. უმკაცრესი რეჟიმით ვცხოვრობდით. თქვენ წარმოიდგინეთ, ხმაურსა და აჟიოტაჟსაც კი გვაჩვევდნენ. საკონტროლო შეჯიბრებებს მთელი სპორტული დელეგაცია. ესწრებოდა ადგილობრივ და საგანგებოდ ორგანიზებულად მოწვეულ გულშემატკივრებთან ერთად. მერე ჩვენ, სხვებთან ერთად, სპორტის სხვა სახეობების ნაკრების შეჯიბრებებს ვესწრებოდით. თავისუფალ დროს გართობა-დასვენებაც ორგანიზებული იყო. გვიჩვენებდნენ კინოს, დავდიოდით სათევზაოდ, ვმეგობრობდით სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლებთან. ტანმოვარჯიშეებს განსაკუთრებით ცხენოსნებთან შეხვედრა გვიხარდა. ყაზარმულ პირობებში ვცხოვრობდით. ვდგებოდით ძალიან ადრე, 6 საათზე. ჩვენი საძინებელი იმავე შენობაში იყო, რომელშიც ვვარჯიშობდით. დილით პირის დასაბანად როცა მივდიოდით, სპორტული დარბაზი უნდა გაგვევლო. მწვრთნელებმა ორიგინალური რამ მოიგონეს. ხუთი დვირი ერთმანეთზე მიადგეს და მთელი დარბაზი ასე დვირზე უნდა გაგვევლო, გვერდს ვერაფრით აუქცევდი. ცხადია, ესეც თავისებურად სასარგებლო ვარჯიში იყო“.

მზია ხალასი, მხიარული სპორტსმენი იყო, უყვარდა ხუმრობა, ოხუნჯობა. გალინა მინაიჩევა-შარაბიძე იხსენებს: „მზიას ყოველთვის სიხალისე და მხიარულება შეჰქონდა ყველგან, სადაც გამოჩნდებოდა, ქმნიდა მოულოდნელ, აზარტულ სიტუაციებს, რასაც არათუ უშლიდნენ, დიდად აფასებდნენ ხელმძღვანელები. პირიქით, აქებდნენ კიდეც“.

ნაკრები გუნდის წევრთა შერჩევის დროც დადგა. მოსკოვიდან საგანგებოდ გამოიძახეს ყველაზე მკაცრი მსაჯები. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს პირად მწვრთნელს, რომელმაც ზედმიწევნით იცის სპორტსმენის შესაძლებლობები, სუსტი და ძლიერი წერტილები. იმ პერიოდში მზიას მწვრთნელი გრიგოლ მამარდაშვილი იყო, მაგრამ არც შეკრებებზე, არც საკონტროლო შეჯიბრებებზე და ბოლოს, კანდიდატთა შერჩევაზე, ქართველი მწვრთნელი არ მიიწვიეს. მზიამ ნაკრებში რამდენიმე მწვრთნელი გამოიცვალა. ძირითადად კი ვიქტორ ჟურავლიოვი და ალექსანდრე ალექსანდროვი მიუჩინეს დამრიგებლად...

თენგიზ გაჩეჩილაძე

დასაწყისი იხ. „ლელო“ №40-41, 43-45, 47, 49.

გაგრძელება იქნება

ფორმულა-1

მიხაელ შუმახერი ახლოსაა მიზანთან

მიხაელ შუმახერი

ჩემპიონატის მეათე ეტაპის — „საფრანგეთის გრან-პრის“ მოგებით მსოფლიო ჩემპიონი, „ფერარის“ პილოტი მიხაელ შუმახერი ძალზე მიუახლოვდა მიზანს — შეინარჩუნოს უძლიერესის სახელი. ამ გამარჯვებამ მას საშუალება მისცა საგრძნობლად გაეზარდა ქულათა სხვაობა მეორე ადგილზე მყოფ დიდბრიტანელ დევიდ კულტჰარდთან, რომელიც 31 ქულით ჩამორჩება ლიდერს. საერთოდ, მ. შუმახერის გამარჯვება რბოლაში უკვე ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს.

მანი-კურის ტრასაზე რბოლას ძმებმა შუმახერებმა მისცეს ტონი. თავიდან დაწინაურდა უმცროსი ძმა, რომელსაც ჩრდილივით აედევნა მიხაელი. ყველაზე საინტერესოდ წარიმართა რბოლა მე-20 წრის შემდეგ, როცა პილოტებმა პიტ-სტოპში იწყეს შესვლა. ტექნიკური მომსახურების შემდეგ რალფმა რამდენიმე მდევარი გაუშვა წინ — მ. შუმახერი, კულტჰარდი და კოლუმბიელი ხუან მონტოია, ამ უკანასკნელმა 30-ე წრე ეტაპის ლიდერად დაამთავრა და 6 წამით უსწრებდა უახლეს მეტოქეს. მაგრამ ლიდერის ბოქსში შესვლით ისარგებლეს კონკურენტებმა და კოლუმბიელი მეხუთე აღმოჩნდა. მართალია, მან მალე ერთი პოზიციით წინ გადაინაცვლა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო.

ამასობაში მიხაელ შუმახერი თანდათან წინაურდებოდა ძმასთან ბრძოლაში და სულ მალე „ფერარის“ პილოტმა 14,5 წამიან უპირატესობას მიაღწია. ძმების მომდევნო პიტ-სტოპის შემდეგ წინ გაიჭრა მონტოია და 6 წრეს ლიდერობდა, 50-ე წრეზე მას ტექნიკური დახმარება დასჭირდა, ტრასაზე კი მეოთხე დაბრუნდა. მალე მანქანამ უმტყუნა და 54-ე წრეზე რბოლას გამოეთიშა.

ფინიშამდე 10 წრემდე დაწინაურდა სამეული: მიხაელ-რალფ შუმახერები და ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო („ფერარი“), ერთხანს კულტჰარდმა სცადა ბარიკელოს პოზიცია დაეკავებინა, მაგრამ ბრაზილიელმა მოიგერია შეტევა და სამეულმა უცვლელად გადაჰკვეთა ფინიში.

სულ 17 პილოტმა დაამთავრა რბოლა. ჰაკინენის და მონტოიას გარდა, ტრასა დატოვეს კანადელმა ჟაკ ვილნევმა, ენრიკე ბერნოლდმა (ბრაზილია) და ედი ირვინმა (დიდი ბრიტანეთი).

საერთო ჩათვლა: 1. მიხაელ შუმახერი — 78 ქულა, 2. კულტჰარდი — 47, 3. რალფ შუმახერი — 31, 4. ბარიკელო — 30, 5. მონტოია — 12.

კონსტრუქტორთა თასი: 1. „ფერარი“ — 108 ქულა, 2. „მაკლარენი“ — 56, 3. „უილიამსი“ — 43, 4. „ზაუბერი“ — 16, 5. „ჯორდანი“ — 15, 6. ბარი — 12.

მძლეოსნობა

70 მეტრი დაძლეულია

საბერძნეთში მძლეოსანთა ასპარეზობაზე კუბელმა შუბის მტყორცნელმა ოსლეიდის მენენდესმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა, მისი ნატყორცნი შუბი პირველად მსოფლიოში გასცდა 70 -მეტრიან ზღვარს (71 მ 52 სმ). წინა მიღწევა, რომელიც ეკუთვნოდა ნორვეგიელ ტრინე ჰატესტადს, 2 მეტრით გაუმჯობესდა.

იური ბორზაკოვსკი

გლაზგოში ჩატარდა სამი ქვეყნის — ინგლისის, აშშ-სა და რუსეთის მძლეოსანთა შეჯიბრება.

გაგაცნობთ ზოგიერთ გამარჯვებულს: ***ქალები. 100 მ:*** 1. კრისტი გეინსი (აშშ) — 11,19, 2. აბი ოპიტანი (ინგლისი) — 11,29, 3. მარინა კისლოვა (რუსეთი) — 11,44; ***400 მ:*** 1. კატარინა მერი (ინგლისი) — 51,03, 2. მონიკ ჰენაგანი (აშშ) — 51,30, 3. ნატალია ანტიუხი (რუსეთი) — 52,38; ***1500 მ:*** 1. ოლგა ეგოროვა (რუსეთი) — 4.02,76, 2. ელენა ზადოროჟნაია (რუსეთი) — 4.04,64, 3. პაოლა რედლიფი (ინგლისი) — 4.05,37; ***სიგრძე:*** 1. ოლგა რუბლევა (რუსეთი) — 6,80, 2. ჯეიდ ჯონსონი (ინგლისი) — 6,67, 3. დენის ლუისი (ინგლისი) — 6,53.

ვაჟები.

100 მ: 1. ჯონ დარმონი (აშშ) — 10,10, 2. დუეინ ჩამბერსი (ინგლისი) — 10.13, 3. იან მაკი (შოტლანდია) — 10,19; ***200 მ:*** 1. კევინ ლიტი (აშშ) — 20,31, 2. კრისტიან მელკოლმი (ინგლისი) — 20,47, 3. მარლონ დევონშიი (ინგლისი) — 20,50. ***400 მ:*** 1. მარკ რიჩარდსონი (ინგლისი) — 46,20, 2. ჯერომი იანგი (აშშ) — 46,25, 3. ანტონიო პიტგრიუ (აშშ) — 46,33; ***800 მ:*** 1. იური ბორზაკოვსკი (რუსეთი) — 1.48,50, 2. ნეილ სლეიტი (ინგლისი) — 1.48,88, 3. დმიტრი ბოგდანოვი (რუსეთი) — 1.49, 111. ***შუბი:*** 1. ბრო გრინი (აშშ) — 85,74, 2. სტივ ბეკლი (ინგლისი) — 84,26, 3. მიკ ჰილი (ინგლისი) — 83,42. ***სიმაღლე:*** 1. ჩარლზ ოსტინი (აშშ) — 2,25, 2. ნათან ლიპერი (აშშ) — 2,25, 3. იაროსლავ რიბაკოვი (რუსეთი) — 2,22;

ჯამბტომი: 1. ჯონათან ედვარდსი — 17,66, 2. ფილიპ იდოვუ (ინგლისი) — 17,38, 3. ლამარკ კარტერი (აშშ) — 17.01.

საერთო ჩათვლა: 1. აშშ — 135 ქულა, 2. ინგლისი — 131, 3. რუსეთი — 111.

ამსტრონგი

პლანეტის ველოსიპედისტთა რეიტინგში დიდი ცვლილებაა

პლანეტის ველოსიპედისტთა რეიტინგი საგრძნობლად შეიცვალა. პირველ ოცეულში ადგილი შეინარჩუნა მხოლოდ ოთხმა სპორტსმენმა. სათავეში კი იტალიელ დაივდე რებელინის ნაცვლად მოექცა ამერიკელი ლენს ამსტრონგი, მესამეა — ერიკ ცაბელი (გერმანია), მეოთხე — ჯილბერტო სიმონი (იტალია), მეხუთე — ფრანჩესკო კაზაგრანდე (იტალია), მეექვსე — რომან ვაინშტეინი (ლატვია).

რუსი ქალები უიმბლდონს ეთხოვებიან...

რუსეთელთა ბოლო იმედი ქალთა შორის ნადეჟდა პეტროვა უიმბლდონის ტურნირს გუშინ გამოეთხოვა. იგი ვინუს უილიამსთან დამარცხდა. მანამდე, გუშინვე, მარცხი იწვნია მეორე რუსმა ჩოგბურთელმა ლინა კრასნორუცკაიამ, რ[illegible]მელსაც კონჩიტა მარტინესმა სძლია.

სურათზე: ნადეჟდა პეტროვა

„ნეკო“ სფფ-ს პარტნიორია

შპს „ნეკო“ (დირექტორი ვალერი ახალკაცი) სპორტულ მედიცინაში თანამედროვე გამოკვლევების მეთოდებს ნერგავს. ფირმის მუშაობა მეტად მრავალფეროვანია: ჯანმრთელობის შემოწმება, ფიზიკური განვითარების დონის დადგენა, ფუნქციონალური მდგომარეობის განსაზღვრა, სამკურნალო-პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო ღონისძიებები, საწვრთნელი პროცესისა და სპორტული რეჟიმის დაგეგმვა, სწორი კვება და სპორტული ჰიგიენა, წვრთნის დინამიკა. მოკლედ, ასეთ ფირმასთან თანამშრომლობა ყველა სპორტსმენისთვის მისწრებაა. სერვისი უმაღლეს დონეზე გარანტირებულია. შეთანხმებამაც არ დააყოვნა. სფფ-სთან გაფორმებული ხელშეკრულებით „ნეკო“ ეროვნული ნაკრების წევრებს სრულ გამოკვლევას უფასოდ ჩაუტარებს. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის კი ტარიფები ასეთია: 12-წლამდელების გამოკვლევა 15 ლარი ეღირება, 18-წლამდელების — 20, 18 წლის ზევით — 50. „ნეკოსა“ და სფფ-ს შორის ხელშეკრულება 2002 წლის 31 დეკემბრამდეა გაფორმებული.

სირცხვილი თუ კანონზომიერება?!

INTERTOTO CUP

ინტერტოტოს თასი, მეორე ეტაპი, პირველი მატჩი

ტრუა (საფრანგეთი) — ვიტ ჯორჯია (საქართველო) 6-0

ტრუა: ურტიბი, ლერუ, მენირი, ბრაჯა, ჰემიდი, როტინი (თომასი, 73), ჯუკიჩი, სელენტინი, სეიფი, ბუტალი (ჰააზი 68), გუზი (ნაინგი 82).

ვიტ ჯორჯია: მერლანი, საჯაია (ბეროშვილი 73), ინწკირველი, ჭანკოტაძე, არეშიძე (ფეიქრიშვილი 46), ადამია, ნოზაძე, დიღმელაშვილი, ყიფიანი, დოლიძე (სულთანიშვილი 46), მელქაძე.

გოლები: 1-0 მენირი (16), 2-0, 3-0 ბუტალი (29, 38), 4-0 გუზი (48), 5-0 ჯუკიჩი (60), 6-0 ბუტალი (68).

მსაჯი: მ. იფელი (ისრაელი).

როგორი მწარეც უნდა იყოს, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. დღეს ქართულ კლუბებს არ შესწევთ ძალა ევრო თასებზე წინააღმდეგობა გაუწიონ, თუნდაც საშუალო დონის გუნდს. რაც „ვიტ ჯორჯიას“ საფრანგეთში გამართულმა მატჩმაც დაადასტურა. არავის ვამართლებთ, რა ვითარებაც უნდა იყოს, მომზადების როგორი დონე, 0-6 მეტისმეტია, თავმოყვარე გუნდი ასეთი ანგარიშით არ უნდა მარცხდებოდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, უსაშველოდ დიდი ანგარიშით წაგებებს ქართულმა კლუბებმა თითქოს მიგვაჩვიეს და ეს ხდება ყოველწლიურად. ჩვენც სათქმელი არაფერი გვაქვს, კიდევ ერთხელ შევრცხვით. ყოველივე გუნს გგტკენს და რაც უფრო საგანგაშოა, ეს კანონზომიერებად ყალიბდება.

საბა ლომინაძე

მეორე ეტაპი, პირველი მატჩები 30 ივნისი – 1 ივლისი

ჩელიკი (ბოსნია) – გენტი (ბელგია) 1-0

ბაზელი (შვეიცარია) – გრინდავიკი (ისლანდია) 3-0

ტრუა (საფრანგეთი) – ვიტ ჯორჯია (საქართველო) 6-0

შტურმი (ავსტრია) – ლოზანა (შვეიცარია) 0-1

სლავენი (ხორვატია) – ბასტია (საფრანგეთი) 1-0

პობედა (მაკედონია) – რიზესპორი (თურქეთი) 2-1

დინამო (მინსკი, ბელარუსი) – პაპოელი (პაიფა, ისრაელი) 2-0

ოდენსე (დანია) – აიკი (შვედეთი) 2-2

პსჟ (საფრანგეთი) – ჯაზი (ფინეთი) 3-0

მეტალურგსი (ლატვია) – ჰერენვენი (ჰოლანდია) 3-2

მიუნხენი 1860 (გერმანია) – სარტიდი (იუგოსლავია) 3-1

სინოტი (ჩეხეთი) – უნივერსიტატია (რუმინეთი) 3-2

სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) – ტავრია (უკრაინა) 2-0

ტილიგული (მოლდოვა) – ტატაბანია (უნგრეთი) 1-1

პუბლიკუმი (სლოვენია) – პეტრუალკა (სლოვაკეთი) 5-0

ზაგლებე (პოლონეთი) – ლოკერენი (ბელგია) 2-2

საპასუხო მატჩები – 7-8 ივლისს

წარმოადგინეთ განაცხადები

XIII ეროვნული ჩემპიონატი 28 ივლისს დაიწყება, მანამდე კი, როგორც წესი, მონაწილეებმა სფფ-ში განაცხადები უნდა წარადგინონ. ფედერაციამ უმაღლესი ლიგის კლუბებს განაცხადების წარდგენის ასეთი ვადები და დრო დაუდგინა:

16 ივლისი

ვიტ ჯორჯია (თბილისი) 11.00
მეტალურგი (ზესტაფონი) 13.00
გურია (ლანჩხუთი) 15.00

17 ივლისი

სამგურალი (წყალტუბო) 11.00
სიონი (ბოლნისი) 13.00
მერანი91 (თბილისი) 15.00

19 ივლისი

დინამო (თბილისი) 11.00
დინამო (ბათუმი) 13.00
გორდა (რუსთავი) 15.00

20 ივლისი

კოლხეთი-1913 (ფოთი) 11.00
ლოკომოტივი (თბილისი) 13.00
ტორპედო (ქუთაისი) 15.00



ქართული ფეხბურთის გამოტირება

ფეხბურთს ყველანი ვთამაშობდით – თბილისის უსწორმასწორო რელიეფის მიუხედავად, თითქმის ყველა ეზოში ხერხდებოდა ერთიბეწო სათამაშო მოედნის გამართვა. ერთხანს მცირე სტადიონებიც არ იყო იშვიათობა, ასე რომ, მე ჩემდათავად ექვსი წლიდან გავუგე გემო იმ სასწაულს, რასაც ფეხბურთი ჰქვია. ბოლო „მატჩი“ ორმოცდაცამეტისამ ვითამაშე ამ ოცი წლის წინ. დიდი ვერაფერი მოთამაშე ვიყავი, მაგრამ ვერც მე, ვერც ჩემს მეგობრებს თუ ახლობლებს უფეხბურთოდ ცხოვრება ვერ წარმოგვედგინა, იმ ზომამდე, რომ მოწაფეობისას ვაჟთა პირველი სკოლის გრძელ დერეფანშიც ვთამაშობდით – ჭინჭის ბურთით იქნებოდლა თუ სულაც აგურის ნატეხით.

დიდ ფეხბურთს რაც შეეხება, ათის რომ გავხდი, მაშინ მაზიარა ბიძაჩემმა 1938 წელს – სტადიონზე წამიყვანა. მას შემდეგ, თუკი თბილისში ვიყავი, თამაში აღარ გამიცდენია. ასე გრძელდებოდა თითქმის ნახევარ საუკუნეს, ოთხმოციანი წლების შუა ხანებამდე, ვიდრე ქართული ფეხბურთი, როგორც იმერეთში იტყვიან, მთხლედ არ წავიდა და მერე აღარც დაადგა საშველი. მას შემდეგ იქცა ჩვეულებრივ რაიმედ სტადიონის ცარიელი ტრიბუნები, თორემ მანამდე უმთავრეს პრობლემად სტადიონზე მაყურებელთა მოსვლა კი არა, ბილეთის შოვნა ითვლებოდა – ასეულ ათასობით გულშემატკივარი დამიდასტურებს ამას.

სხვათა შორის, ქართველი გულშემატკივარი ცალკე თემაა, საგულდაგულო საუბრის თემა, ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, ქვეყნიერების რომელი კუთხის სტადიონები არ გვიხილავს ტელევიზიის წყალობით. ვერც ერთ მათგანს ვერ შევადარებ „კლასიკური პერიოდის“ თბილისის სტადიონს. რარიგ ღირსეულად იცოდნენ ჩვენმა გულშემატკივრებმა ბობოქარ ვნებათა გადმოფრქვევაც და დაოკებაც. არავითარი ჭიჭყინი, არავითარი დოლის ბრახუნი თუ საყვირები, ანდა, კოლექტიური სიმღერები. ამ სისულელეთა ნაცვლად – თამაშის დახვეწილი შეგრძნება და შესაშური ობიექტურობა, რაც მოწინააღმდეგის კარგი თამაშის დაფასებითაც ვლინდებოდა. შესანიშნავად ესმოდა ფეხბურთი ქართველ მაყურებელს.

კაცმა რომ თქვას, ეს იმითაც იყო განპირობებული, საკუთრივ ფეხბურთელებს როგორ ესმოდათ ეს თამაში, მისდამი როგორ დამოკიდებულებას გვაჩვევდნენ ჩვენ, გულშემატკივრებს.

როგორ ესმოდათ და, – რაინდულად, ჩემი აზრით, ვერც ერთი სხვა სიტყვა ასე კარგად ვერ გამოხატავს ამ თამაშისადმი მათს მიდგომას, რაინდული ღირსეულობა, შემართება, თავდადება, ბრძოლის ჟინიც და მოპირდაპირის პატივისცემაც, ბრძოლის სიფიცხეც და ვნებათა მოთოკვის უნარიც.

ამასთან, ნუ დავივიწყებთ, რომ მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში (30-80-იანი წლები) ეს ხდებოდა სრულიად ბარბაროსულ ვითარებაში: რუსული გუნდები, ჩვენი ძირითადი მოწინააღმდეგენი, ტექნიკურადაც უმეტესად დაბალ დონეზე იდგნენ და თამაშითაც როგორც მოსისხლე მტრებს, ისე გვეთამაშებოდნენ, – უხეშად, დაუზოგავად, უღირსად. არავითარ სიმდაბლეს არ თაკილობდნენ, არც საკუთრივ ფეხბურთელები და არც მსაჯები (როგორც წესი – რუსები). სხვათა შორის, რამდენჯერაც ჩვენს გუნდს საბჭოთა კავშირის პირველობაზე მეორე თუ მესამე ადგილი დაუკავებია, ნორმალურ, კაცურ ვითარებაში (ვთქვათ, დასავლეთ ევროპაში), ძალად წართმეულ ქულებს თუ მივათვლიდით, პირველ ადგილად იქცეოდა ის მეორე და მესამე ადგილები. ასე რომ, თბილისის „დინამო“ ორჯერ კი არა, სულ ცოტა, რვაჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. თასის შესახებაც იგივე ითქმის: რამდენი ფინალი თუ ნახევარფინალიც ძალით წაგვაგებინეს, სულ თასის მფლობელობას ნიშნავდა ის თამაშები.

აქ იმასაც დავსძენ, ჩვენთვის თავშისაცემი იყო, თორემ ისე ერთობ კომიკურად გამოიყურებოდა ეს ყოველივე: ასორმოცდაათმილიონიანი ერი სამ თუ ოთხმილიონიან ერს იმის მეტს ვერაფერს უხერხებდა, მისი მოთამაშეები არ დაეჩეხა უმოწყალოდ, მსაჯები პოლიტკომისრების როლში არ გამოეყვანა, უმაღლესი პარტიული და სამთავრობო ინსტანციები არ ჩაერთო სადავო საკითხების გადაწყვეტაში. კვლავ, სხვათა შორის, თუ ვიტყვით, რუსები დღემდე ასე პოლიტიზებულად აღიქვამენ ფეხბურთს და, ვიდრე ამას არ მოიშლიან, არა მგონია რუსულ ფეხბურთს საშველი დაადგეს.

დიახ, იმას ვამბობდი, ამგვარ უძნელეს პირობებშიც კი ჩვენი ფეხბუთელები რაინდულ ღირსებას არ კარგავდნენ არასოდეს. მიუხედავად დიდი აზარტისა, ტემპერამენტისა, მათთვის ფეხბურთი თამაშიც იყო, შერკინებაც, ჯიშისა და შინაგანი არტისტიზმის გამოვლინების ასპარეზიც, დღესასაწულიც, არც ერთი სპორტული თამაში, ჩემი აზრით, ისე არ შეესატყვისება ქართველი კაცის ბუნებას, როგორც ფეხბურთი (მომიტევონ კალათბურთელებმა, ხელბურთელებმა, ჩოგბურთელებმა, სხვებმაც, მათმა ქომაგებმაც).

არასგზით არ არის შემთხვევითი, ამდენი დიდოსტატი, სუპერვარსკვლავი რომ ჰყავდა ამ მცირერიცხოვან ერს: პაიჭაძე, ჯეჯელავა, მარღანია, ღოღობერიძე, იამანიძე, ჩოხელი, მესხი, მეტრეველი, ბარქაია, ხურცილავა, ასათიანი, მაჩაიძე, ყიფიანი, გუცაევი, დარასელია... ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება.

არასგზით არ არის შემთხვევითი, საბჭოთა კავშირის ნაკრებში ათეული წლების მანძილზე ამდენი ქართველი რომ თამაშობდა (ბოღმა კი ახრჩობდათ, მაგრამ მაინც იწვევდნენ – სხვა რა გზა ჰქონდათ!).

არასგზით არ არის შემთხვევითი ორმოციან წლებში ბორის პაიჭაძისთვის ევროპაში შერქმეული ზედწოდება – „ფეხბურთის კარუზო“ (ამის თაობაზე იხილეთ ჟურნალისტ ოთარ გაგუას მშვენიერი წიგნი „ბორის პაიჭაძე“). არც ის არის შემთხვევითი, ორმოცდაათიან წლებში საბჭოთა კავშირის ნაკრებს ჩეხოსლოვაკიაში ტურნე რომ ჰქონდა, რის შემდეგაც ერთ იქაურ გაზეთში კარიკატურა დაიბეჭდა: საბჭოთა ნაკრების მოთამაშენი ულვაშებში ჩაფრენიან ბასა ღოღობერიძეს და ეს მიათრევს მთელ გუნდს. არც ის, სამოციან წლებში ელინიო ერერამ რომ უთხრა რუსებს: მომწონს თქვენი ნაკრები, განსაკუთრებით მისი ქართული ფრთები – მესხი და მეტრეველი. არც ის, მურთაზ ხურცილავა წლების განმავლობაში საბჭოთა ნაკრების კაპიტანი რომ იყო, არც ის, დიდად სახელგანთქმულმა ჟურნალისტმა იური როსტმა „ლიტერატურნაია გაზეტაში“ მდუღარებითა და გულის დაწყვეტით აღსავსე წერილი და ფოტო რომ მიუძღვნა ფეხბურთიდან დავით ყიფიანის წასვლას. 1970 წელს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრებში კახი ასათიანი თამაშობდა, მოსკოვის ერთმა გაზეთმა, რამდენადაც მოულოდნელი თუ უცნაური უნდა ყოფილიყო, მექსიკური პრესიდან გადმობეჭდა ფეხბურთის ცნობილ უცხოელ სპეციალისტთა წრეში გახმიანებული ფრაზა (ის ფრაზა დღემდე ზეპირად მახსოვს, მკითხველთა წინაშე ბოდიშს ვიხდი, მაგრამ რუსულადვე გავიხსენებ, თარგმანით რაიმე არ შევცვალო უნებურად):

"До сих пор были: король Пеле, принцы Ривелино и Тостао, а сейчас появился князь Асатиани".

რომელი ერთი უნდა მოიგონოს კაცმა!...

ქუჩის ფეხბურთი, ჩემი ბავშვობისა და სიჭაბუკის ჟამს ესოდენ გავრცელებული, დღევანდელ თბილისში, გასაგები მიზეზების გამო, ვეღარ ხარობს. ეზოს ფეხბურთიც ერთობ, ერთობ გაიშვიათდა. დროდადრო ხან აქ, ხან იქ მაინც გადავეყრები ხოლმე ფეხბურთის მოთამაშე პატარა ბიჭებს. საათობით შემიძლია ვუყურო ჩვენი ჯიშის, ჩვენი დახვეწილი ბუნების ამ შვენიერ გამოვლინებებს...

რევაზ თვარაძე,
„ლიტერატურული საქართველო“
29 ივნისი — 5 ივლისი, 2001 წ.

(იბეჭდება მცირე შემოკლებით)

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტის მდივანს ზვიად დარასელის ძმის, საქართველოს ტელე-რადიო კორპორაციის თავმჯდომარის მოადგილისა და მეორე არხის გენერალური დირექტორის

ზაზა დარასელის

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 3, 4 ივლისს 17 საათზე.
მისამართი: ლუარსაბ ბოცვაძის 2, I სართული (კაზინო „ევროპის“ გვერდით).
გამოსვენება ხუთშაბათს, 5 ივლისს 15 საათზე ვაკის წმინდა სამების ეკლესიიდან (სტუდენტქალაქის გვერდით). დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა ფეხბურთი

ოთხთა ტურნირი 35-ე სკოლელებმა მოიგეს

1984-85 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა ოთხი გუნდის მონაწილეობით ჩატარდა ნიკუშა სოფრომაძის ხსოვნის ტურნირი, რომელიც მომავალში ტრადიციული გახდება და უცხოელებსაც მოიწვევენ. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ 35-ე საფეხბურთო სკოლის (მწვრთნელი ვახტან ბაქანიძე) და სპორტკლუბ „ქარიშხალას" გუნდები (მწვრთნელები პეტრე თაბუკაშვილი და დავით ძიძიგური). გაიმარჯვეს 35-ე სკოლელებმა 4-3. მესამე ადგილზე გავიდა „ელეგია".

რჩეულებს გადაეცათ პრიზები. საუკეთესო ბომბარდირისა — გოჩა წილოსანს (12 გოლი, 35-ე საფეხ. სკოლა), მეკარისა — სპარტაკ ეჯიბიას, მცველისა — გიორგი იოსებიძეს, საუკეთესო ფეხბურთელისა ირაკლი კალმახელიძეს (ყველა — „ქარიშხალა").

ტურნირი ჩაატარა საქართველოს მინიფეხბურთის ასოციაციამ (პრეზიდენტი გურამ დურგლიშვილი). ასპარეზობას უმასპინძლა სპორტულმა კომპლექსმა „ქარიშხალამ", სადაც ყველა პირობაა, როგორც მინი, ისე დიდი ფეხბურთის გასავითარებლად. სექტემბრიდან აქ ბავშვთა საფეხბურთო სკოლა გაიხსება. მისამართი: უნივერსიტეტის 6, ტელ: 39-17-07.

ტურნირში გამარჯვებული 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდი

I რიგში. სხედან: ლაშა ოთიურიძე, გიორგი ნავერიანი, დაჩი ფოფხაძე, გიორგი მათეშვილი, შოთა ჭანტურია, ირაკლი კაპანაძე, გიორგი წურწუმია, ლევან ნასიბოვი, ბაჩი ჩანგიშვილი, ნიკა დგებუაძე. დგანან: ირაკლი ხარებავა, გოჩა წილოსანი, პაატა მორჩილაძე, ლაშა ხარებავა, მიშა ქოჩიშვილი, ლაშა ხმალაძე, შოთა ეფრემიძე, როინ მჟავანაძე, მწვრთნელი ვახტანგ ბაქანიძე.

რობერტ ბაგოიანის ფოტო.

ტურნირის მეორე პრიზიორი «ქარიშხალას» გუნდი

დგანან: პეტრე თაბუკაშვილი (მწვრთნელი), გიორგი ებრალიძე, მერაბ დურგლიშვილი, ირაკლი კალმახელიძე, გიორგი იოსებიძე, გიორგი აკოფიანი, ნიკა ოსეფაშვილი, დავით გიგაური (მწვრთნელი). *სხედან:* თემურ თოდუა, არტურ ერზნკიანი, ოთარ ნანობაშვილი, სპარტაკ ეჯიბია, სერგო მელაძე, დათო ბოსტაშვილი, დათო კალანდარიშვილი, გიორგი მაისურაძე.

«თბილისური ზაფხულის პრიზი»

ასე ერქვა 1989-90 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირს, რომელიც 8 გუნდის მონაწილეობით ჩატარდა ორ წრედ. პირველობა მოიპოვა „სიხარული"-1-მა (კლუბის პრეზიდენტი დემურ ჭაფოძე, მწვრთნელი იუზა წილოსანი), მეორე იყო მერანი (მწვრთნელი გია ჯმუხაძე), მესამე — „მთვარის გლობუსი" (მწვრთნელი მევლუდ თავართქილაძე). საუკეთესო მოთამაშეები დაჯილდოვდნენ პრიზებით.

გამარჯვებულ გუნდში თამაშობდნენ: დათო მაისაშვილი, თემურ ჭარაია, კოკა ხოსიაშვილი, ალეკო ბერიანი, ლევან ხინჩაგაშვილი, ლაშა ჭარაია, კახა მამაცაშვილი, დენინს ბელიაევი, ბექა გაბოძე, არჩილ სებისკვერაძე, ნიკო პაქსაშვილი, კალო რაშოევა, გია ცინცაძე, მიხეილ შეყილაძე, ირაკლი სიხარულიძე, საბა საბაშვილი, დიეგო დარსანია, ლადო ჭეჟია, ბექა სხილაძე, რევაზ სანიკიძე.

რობერტ ბაგოიანის ფოტო.

ფეხბურთი ყველასათვის

„ალდაგი" და მოწოდება „ფეხბურთი ყველასათვის"

ახლა ცნობილი სადაზღვევო კომპანია „ალდაგიც" მოგვევლინა მასობრივი ფეხბურთის წამქეზებლად. მის მიერ ორგანიზებულ ტურნირში სხვადასხვა ფირმების და ორგანიზაცია-დაწესებულებების 16 გუნდი იბრძოდა მთავარი პრიზის მოსაპოვებლად. ფინალი შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტისა და გაერთიანებული ქართული ბანკის მინიფეხბურთის გუნდებმა გაითამაშეს: გაიმარჯვეს პოლიციელებმა 7-0 (მწვრთნელი გ. ევანია), გუნდის უფროსი დ. ჯიბლაშვილი.

სურათზე: ტურნირში გამარჯვებული შსს დაცვის პოლიციის გუნდი.

რობერტ ბაგოიანის ფოტო

ახალციხის რაიონის პირველობა

დამთავრდა რაიონის პირველობა ფეხბურთში სოფლის საკრებულოებსა და წარმოება-დაწესებულებებს შორის. მონაწილეობდა 12 გუნდი ორ ქვეჯგუფად. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სოფ. ურავლის საკრებულოს და ფირმა „ელიტას" გუნდები, 3-1 გაიმარჯვეს ურავლელებმა, მოიპოვეს თასი და მიიღეს ფულადი ჯილდო.

მეწარმეთა საყურადღებოდ!

ამონაწერი საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 მარტის №95 ბრძანებულებიდან „ზოგიერთი პირველი რიგის ანტიკორუფციული ღონისძიებების შესახებ".

მე-13 პუნქტი: საწარმოთა ფინანსური და ტექნიკური კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელებმა მიიღონ სათანადო ზომები, რათა 2001 წლის 1 აპრილიდან ამ ორგანოების წარმომადგენლებმა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შემოწმება დაიწყონ მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესამოწმებელი ობიექტის წარმომადგენელს გადასცემენ შემოწმების პროცესში მხარეთა უფლება-მოვალეობების ამომწურავ წერილობით ჩამონათვალს.

. აღნიშნული ამონაწერი , გაეცანით თქვენს საწარმოებში (ორგანიზაციებში.) და მისი შესრულება მოსთხოვეთ ყველა მაკონტროლებელ სტრუქტურას.

დაწვრილებით გაეცანით და დაიტოვეთ მაკონტროლებელი სტრუქტურებისგან თქვენი და მათი უფლება-მოვალეობების წერილობითი ჩამონათვალი.

თუ 1 აპრილიდან მაკონტროლებელ სტრუქტურებს არ წარმოუდგენიათ ზემოაღნიშნული უფლება-მოვალეობათა ჩამონათვალი, ამ შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ და დააფიქსირით აღნიშნული ფაქტი ტელეფონებზე:

92-28-39 — საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

99-50-76 — საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

96-41-24 — სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი

თქვენი ორგანიზაციის ანონიმურობა დაცული იქნება.

გაზეთის დაბეჭდვის წინ:

„ლიონი" ანდერსონს 2004 წლამდე დაიტოვებს

შეთანხმება მოხდება მომავალ კვირაში. თავის ფორვარდს, ანდერსონს მიუხედავად იმისა, რომ იგი ახლა უკვე 30 წლისაა, „ლიონი" კიდევ სამი წლით დაიტოვებს. დავძენთ, რომ ეს ბრაზილიელი ლეგიონერი ევროპაში 1992 წლიდან თამაშობს.

ბლატერი სურკისს გამოცდილების გასაზიარებლად იწვევს

ფიფას პრეზიდენტი ბლატერი მზადაა ფართო გასაქანი მისცეს მთელ მსოფლიოში უკრაინელთა გამოცდილებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფეხბურთის სპეციალური გაკვეთილების შემოღებასთან დაკავშირებით. უკრაინაში ახლა საამისოდ საგანგებო კურსებზე ფიზალზრდის მასწავლებლების გადამზადება მიმდინარეობს. ბლატერმა უკრაინის ფეხბურთის პრეზიდენტი სურკისი ფიფას კონფერენციაზე მიიწვია ბუენოს-აირესში და სთხოვა გააკეთოს მოხსენება — „ფეხბურთი განათლების სისტემაში".

მოკლედ...

● „იუვენტუსი" და „ვალენსია" შეთანხმდნენ, ესპანეთის კლუბში იუგოსლავიელი ფორვარდის დარკო კოვაჩევიჩის გადასვლის თაობაზე.

● მიუნხენის „ბავარიის" კაპიტანს შტეფან ეფენბერგს გაისად უმთავრდება კონტრაქტი და გამორიცხული არ არის, რომ ვეტერანი გუნდს დატოვებს. ყოველ შემთხვევაში, 32 წლის ნახევარმცველს არაერთხელ განუცხადებია, რომ სურვილი აქვს კარიერა უცხოეთში დაასრულოს.

● საფრანგეთმა გადაწყვიტა სპონსორობა გაუწიოს ფეხბურთში აფრიკის თასის გათამაშებას 2002 წლისათვის. როგორც იუწყებიან, ორგანიზატორებს საფრანგეთი 1,9 მილიონ ფრანკს გამოუყოფს.

● ფილიპო ინძაგისთან კონტრაქტს ხელი მოაწერა იტალიის „მილანმა". კონტრაქტი ხუთწლიანია.

● ჩოგბურთი უიმბლდონის ტურნირზე, წუხელ კიდევ ორი სენსაცია მოხდა: პიტ სამპრასმა და ლე ტონ ჰ იუიტმა შეხვედრები წააგეს...

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

სამხრეთ ამერიკა

ურუგვაი — ბრაზილია 1-0
მაგალიანეში (33 პენ).

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
არგენტინა	13	10	2	1	33-11	32
პარაგვაი	13	8	2	3	21-11	26
ეკვადორი	13	8	1	4	17-16	25
ბრაზილია	13	6	3	4	22-12	21
ურუგვაი	13	6	3	4	15-9	21
კოლუმბია	13	5	4	4	12-12	19
ბოლივია	13	3	4	6	13-19	13
პერუ	13	3	3	7	12-17	12
ჩილე	13	3	1	9	12-18	10
ვენესუელა	13	1	1	11	8-40	4

ურუგვაი — ბრაზილია

მექსიკა — აშშ

ჰონდურასი — კოსტა-რიკა

კონკაკაფი

ტრინიდადი და ტობაგო — იამაიკა 1-2
მექსიკა — აშშ 1-0
ჰონდურასი — კოსტა რიკა 2-3

აშშ	6	4	1	1	7-2	13
კოსტა რიკა	6	4	1	1	12-7	13
ჰონდურასი	6	2	2	2	13-11	8
იამაიკა	6	2	2	2	5-8	8
მექსიკა	6	2	1	3	8-8	7
ტრინიდადი და ტობაგო	6	0	1	5	4-13	1

ქალთა ევროპის ჩემპიონატი

UEFA WOMEN'S CHAMPIONSHIP

A ჯგუფი

ინგლისი — გერმანია 0-3
შვედეთი — რუსეთი 1-0

გერმანია	3	3	0	0	11-1	9
შვედეთი	3	2	0	1	5-3	6
რუსეთი	3	0	1	2	1-7	1
ინგლისი	3	0	1	2	1-8	1

B ჯგუფი

დანია — ნორვეგია 1-0
საფრანგეთი — იტალია 2-0

დანია	3	2	0	1	6-5	6
ნორვეგია	3	1	1	1	4-2	4
იტალია	3	1	1	1	3-4	4
საფრანგეთი	3	1	0	2	5-7	3

ამრიგად, ნახევარფინალში, რომელიც ქალაქ ულმში ხვალ გაიმართება, ერთმანეთს შეხვდებიან:

გერმანია — ნორვეგია
დანია — შვედეთი

აფრიკა

A ჯგუფი

ლიბია — ანგოლა 1-1
კამერუნი — ტოგო 2-0

კამერუნი	7	6	0	1	12-2	18
ანგოლა	7	3	3	1	10-8	12
ზამბია	6	2	1	3	8-7	7
ტოგო	6	1	2	3	7-12	5
ლიბია	6	0	2	4	5-13	2

B ჯგუფი

ლიბერია — განა 1-2
სუდანი — ნიგერია 0-4

ნიგერია	7	4	1	2	12-3	13
ლიბერია	7	4	0	3	9-8	12
სუდანი	6	3	0	3	5-9	9
განა	6	2	2	2	9-6	8
სიერა ლეონე	6	1	1	4	2-11	4

C ჯგუფი

ნამიბია — ალჟირი 0-4
მაროკო — ეგვიპტე 1-0

მაროკო	7	4	3	0	8-2	15
სენეგალი	6	2	3	1	8-2	9
ეგვიპტე	6	2	3	1	7-4	9
ალჟირი	7	2	1	4	10-13	7
ნამიბია	6	0	2	4	1-13	2

D ჯგუფი

კოტ დივუარი — მადაგასკარი 6-0
ტუნისი — კონგო 6-0

ტუნისი	7	5	2	0	20-4	17
კოტ დივუარი	6	4	2	0	16-5	14
დრ. კონგო	6	2	1	3	5-12	7
კონგო	6	1	1	4	4-13	4
მადაგასკარი	7	1	0	6	4-15	3

E ჯგუფი

ბურკინა ფასო — სამ. აფრიკა 1-1

სამ. აფრიკა	5	4	1	0	8-3	13
ზიმბაბვე	4	2	0	2	5-5	6
ბურკინა ფასო	5	1	2	2	7-7	5
მალავი	4	0	1	3	4-9	1

ამრიგად, კამერუნისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებებმა უკვე გაინაღდეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობა.

მაროკო — ეგვიპტე

მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის

არგენტინის ოთხ ქალაქში (ბუენოს აირესი, მენდოზა, კორდობა, როსარიო) გაიმართა მეოთხედფინალური შეხვედრები

საფრანგეთი — არგენტინა 1-3

ამ შეხვედრას ფეხბურთის მოყვარულები დიდი ინტერესით ელოდნენ.

ეგვიპტე — ...

ორივე გუნდის ლიდერები, არგენტინისა (სავიოლა), ხოლო საფრანგეთის (სისე) პრეტენზიას აცხადებენ არა მარტო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის სახელის მოსაპოვებლად, არამედ ბომბარდირობაზეც. ამ შეხვედრის წინ ბომბარდირთა დავაში ლიდერობდა სისე-6 ბურთი, სავიოლას ანგარიშზე იყო 5 ბურთი.

შეხვედრის დასაწყისში სავიოლამ ისარგებლა მცველთა შეუთანხმებელი თამაშით და გახსნა ანგარიში. შემდეგ შეხვედრა მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით. პირველი ნახევრის დასასრულს ფრანგებმა შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა, მაგრამ ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ ამათ კარში 11-მეტრიანი დარტყმა დაინიშნა — სავიოლამ, გუნდი წინ გაიყვანა. მეორე ნახევარში ისევ სავიოლამ ისარგებლა იმით, რომ ფრანგები მთელი გუნდით უტევდნენ და ერთ-ერთ კონტრშეტევისას მესამე ბურთი გაიტანა ამ შეხვედრაში. საბოლოოდ 3-1 არგენტინელთა სასარგებლოდ.

არგენტინა — საფრანგეთი

ბრაზილია — განა 2-1 (დ.დ.)
1-0 ადრიანო (43), 1-1 იბრაჰიმი (79), 1-2 მენსა (92).

ჰოლანდია — ეგვიპტე 1-2
1-0 ვან დერ ვარტი (32), 1-1 ამინი (46), 1-2 ელ-იამანი (66)

ჩეხეთი — პარაგვაი 0-1
სალ სედო (31).

ნახევარფინალში, რომელიც ხვალ გაიმართება, ერთმანეთს შეხვდებიან.

არგენტინა — პარაგვაია.
განა — ეგვიპტე.

ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

ნორვეგია

ბოდო გლიმტი — სიოგნდალი 2-2
ბრინი — ლინი 1-2
მიოლდე — ვიკინგი 2-1
მოსი — სტაბეკი 1-3
სტრიომგოდსეტი — ოდ გრელანდი 0-2
ტრომსიო — ლილესტრიომი 0-3
რუსენბორგი — ბრანი 3-3

რუსენბორგი	13	8	3	2	35-18	27
ვიკინგი	13	8	3	2	27-15	27
ოდ გრელანდი	13	8	2	3	27-12	26
ლილესტრ.	13	8	2	3	28-17	26
სტაბეკი	13	8	1	4	23-21	25
ბრანი	13	6	4	3	32-20	22
მიოლდე	13	6	3	4	25-20	21
მოსი	13	5	1	7	17-23	16
სოგნდალი	13	5	1	7	19-28	16
ლინი	13	3	4	6	19-20	13
სტრომგოდრ.	13	2	4	7	17-33	10
ბოდო გლიმ.	13	1	6	6	14-24	9
ტრომსო	13	3	0	10	8-25	9
ბრინი	13	2	2	9	14-29	8

ფინეთი

ატლანტისი — ტამპერე 1-3
ჰაკა — ლაჰტი 0-1
კუოპიო — ინტერი 1-2
როვანიემი — მიუპა 1-0
ვაასა — იოკერიტი 2-3

ტამპერე	14	9	3	2	23-15	30
ჰაკა	17	7	5	5	24-15	26
ჰიკი	14	6	6	2	21-10	24
მიუპა	14	6	6	2	21-12	24
ინტერი	14	6	4	4	23-20	22
ატლანტისი	14	5	5	4	19-16	20
ვაასა	14	5	1	8	16-21	16
იოკერიტი	15	4	4	7	18-25	16
ლაჰტი	13	4	3	6	11-15	15
კუოპიო	14	3	6	5	8-14	15
როვანიემი	13	3	4	6	11-17	13
ჯაზი	12	1	3	8	7-21	6

რუსეთი

კრილიასოვე. — ფაკელი 3-1
ტორპედო — სატურნი 1-4
ალანია — ტორპ. ზილი 1-1
ანჟი — როსტსელმაში 0-1
ლოკომოტივი — როტორი 2-0
ზენიტი — სპარტაკი 2-1
სოკოლი — ჩერნომორეცი 0-0
ცსკა — დინამო 2-0

კრილიასოვ.	15	9	2	4	19-9	29
სპარტაკი	15	8	4	3	16-12	28
ლოკომოტ.	15	8	3	4	23-11	27
ტორპედო	15	7	5	3	27-17	26
ცსკა	15	7	4	4	19-12	25
ზენიტი	15	7	4	4	21-20	25
სოკოლი	15	7	4	4	18-20	25
დინამო	15	5	5	5	18-16	20
როსტსელ.	15	6	2	7	14-14	20
სატურნი	15	5	4	6	17-12	19
ანჟი	15	4	6	5	11-11	18
ალანია	15	5	2	8	13-22	17
ტორპედო ზილი	15	3	5	7	12-18	14
როტორი	15	3	4	8	13-21	13
ფაკელი	15	3	3	9	13-20	12
ჩერნომორ.	15	2	5	8	7-26	11

თქვენთვის, ერუდიტებო!

1. ვინ იყო 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალური შეხვედრის („მანჩესტერი" – „ბაიერნი") მთავარი მსაჯი:
ა) პ. კოლინა
ბ) ლოპეს ნიეტო
გ) მელო პერეირა

2. ვინ იყო თასის მფლობელთა თასის პირველი გამარჯვებული:
ა) გლაზგო რეინჯერსი
ბ) ფიორენტინა
გ) ტოტენჰემი

3. რა ერქვა ბურთს, რომლითაც თამაშობდნენ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე:
ა) „ტანგო"
ბ) „კუსტრა"
გ) „ტრიკოლორი".

4. რომელი ფეხბურთელის ზედმეტსახელია „ტინო".
ა) სენსინი
ბ) დელი ვალდესი
გ) ასპრილია

5. ვინ გახდა 1969 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი:
ა) ჯანი რივერა
ბ) ფლორიან ალბერტი
გ) გერდ მიულერი.

ფინა ნომრის პასუხები:
1 — ბ, 2 — ა, 3 — გ, 4 — ა, 5 — ბ.

პირველობა, რომელსაც ითვისებენ... ქართველები

შოტლანდიის ჩემპიონატის შედეგები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ქართველი, რომელიც შოტლანდიის ლიგაში აღმოჩნდა, გიორგი ნემსაძე იყო. შემდეგ მას ზურაბ ხიზანიშვილი დაემატა. ახალი სეზონიდან ჩემპიონატში თემურ ქეცბაიაც ითამაშებს. ერთი სიტყვით, „დანდის" მწვრთნელ ივანო ბონეტის განკარგულებაში უკვე სამი ქართველია. ესეც შენი შოტლანდიური „ფრაიბურგი".

შოტლანდიის 2000-2001 წლების ჩემპიონატში მთავარი „ატრაქციონი" არ შეცვლილა. ბრძოლა პირველი ადგილისათვის კვლავ „გლაზგო რეინჯერსისა" და ამავე ქალაქის „სელტკს" შორის მიმდინარეობდა. შარშან, როგორც მოგეხსენებათ, დიდი უპირატესობით „გლაზგო რეინჯერსმა" გაიმარჯვა, წელს კი ვითარება შეიცვალა. ახლა სრული ტრიუმფი სწორედ რომ „სელტიკმა" იზეიმა. მან გაიმარჯვა ქვეყნის ჩემპიონატში, ამასთან, შოტლანდიის თასიც მოიგო და ლიგის თასიც დაისაკუთრა. ერთი სიტყვით, არავის არაფერი დაუტოვა.

შარშან ასეთ წარმატებაზე თითქოს ვერავინ იფიქრებდა. 1999 წლის ზაფხულში „სელტიკის" დირექტორმა კენი დალგლიშმა მთავარი მწვრთნელის პოსტზე ჯონ ბარნსი მიიწვია, მაგრამ ბარნსმა აშკარად არ გაამართლა იმედები. დალგლიშმა უცადა, უცადა, ბოლოს მოთმინების ფიალა აევსო და... თვით გახდა მთავარი მწვრთნელი. ერთადერთი, რასაც „მეფე კენმ" მიაღწია, იყო ლიგის თასის მოპოვება, მაგრამ ეს „სელტიკის" გულშემატკივრებს რას დაკმაყოფილებდა. ამიტომ დალგლიშიც იძულებული გახდა ბარნსის გზას გაჰყოლოდა. ამიერიდან სადავეები მარტინ ო'ნილის ხელში აღმოჩნდა. ო'ნილი თავის დროზე „ნოტინგემ ფორესტის", „მანჩესტერ სიტისა" და „ნოტს ქაუნთის" ცნობილი ნახევარმცველი იყო, ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებში 64 მატჩი ჩაატარა, ითამაშა მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატში. როგორც მწვრთნელმა, სახელი გაითქვა „ლესტერ სიტიში" (1996-2000), სადაც, მართალია, დიდი ოსტატები არა ჰყავდა (ემილ ჰესკის გარდა), მაგრამ ინგლისის ჩემპიონატში სისტემატურად იკავებდა მაღალ ადგილებს, ორჯერ კი ლიგის თასს დაეუფლა.

ერთი სიტყვით, მარტინ ო'ნილის მისვლამდე, „სელტიკი" „გლაზგო რეინჯერსზე" გაცილებით უარესად გამოიყურებოდა, მაგრამ ახალმა მწვრთნელმა ძალიან კარგად იმუშავა. უპირველეს ყოვლისა, მან დაცვა გააძლიერა: შეიძინა ახალი მეკარე რობ დუგლასი („დანდიდან"), ორი ცენტრალური მცველი, ბელგიელი იოს ვალგარენი (ჰოლანდიურ „როდადან") და შვეიცარიელი რამონ ვეგა („ტოტენჰემ ჰოტსპურიდან"). უკეთ დაიწყო თამაში ნახევარდაცვამაც. რაც შეეხება თავდასხმას, აქ „სელტიკს" გამოკვეთილი ლიდერი ჰყავდა, 29 წლის შვედი ჰენრიკ ლარსონი. საინტერესოა, რომ 1999 წლის შემოდგომაზე უეფას თასზე „ლიონთან" შეხვედრაში ლარსონმა უმძიმესი ტრავმა მიიღო და იმასაც კი ფიქრობდნენ, რომ უნდა გამოთხოვებოდა ფეხბურთს. ეს ასე არ მოხდა და ლარსონი დაბრუნდა. დიახ, დაბრუნდა, როგორც ტრიუმფატორი!

ამ სეზონში ლარსონმა ოფიციალურ თამაშებში 55 (!) გოლი გაიტანა. აქედან ჩემპიონატის 37 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 35 გოლის ავტორი გახდა, ლიგის თასის ფინალურ მატჩში ჰეთ-თრიკი, შოტლანდიის თასის ფინალში დუბლი შეასრულა. გასაოცარი შედეგიანობაა. ისიც საინტერესოა, რომ ლარსონი უკანდახეულ თავდამსხმელად თამაშობს და სხვებთან ერთად ბევრ ხელსაყრელ მომენტს უქმნის ისეთ შედეგიან ფორვარდს, როგორიც ინგლისის ნაკრების ყოფილი წევრი კრის სატონია. სატონმა ჩემპიონატის 24 მატჩში 11 გოლი გაიტანა.

შოტლანდიის ჩემპიონატში 12 გუნდი გამოდის. საქმე ისე წარიმართა, რომ „სელტიკს" თავის მთავარ მეტოქესთან შედარებით დიდი უპირატესობა ჰქონდა. მან ჩემპიონობა შეჯიბრების დამთავრებამდე 5 ტურით ადრე მოიპოვა, 31 მატჩი მოიგო, 4 ფრედ დაასრულა და 3 წააგო, 97 ქულა მოაგროვა, ბურთების მშვენიერი შეფარდებით 90-29.

მეორე ადგილზე გასული „გლაზგო რეინჯერსის" შედეგები გაცილებით უარესია: 26 მოგება, 4 ფრე, 8 წაგება, 82 ქულა, ბურთები 76-36. ასეთ („რეინჯერსისთვის") უფერულ შედეგს მწვრთნელი, ცნობილი ჰოლანდიელი სპეციალისტი დიკ ადვოკაატი ძირითადად უიღბლობით, მრავალრიცხოვანი ტრავმებით ხსნის. მართლაც ჯოვანი ვან ბროკჰორსტი და რონალდ დე ბური მეტ დროს საავადმყოფოში ატარებდნენ, ვიდრე მინდორზე. ამასთან, ახლა ადვოკაატს კიდევ უფრო გაუჭირდება. გერმანელი იორგ ალბერტიცი „ჰამბურგში" ბრუნდება. ვან ბრონკჰორტსზე პრეტენზია აქვთ „ჩელსისა" და „არსენალს". ინგლისის რომელიმე კლუბში გადავა ჩინებული ნახევარმცველი კლაუდიო რეინა. მართალია, „გლაზგო რეინჯერსმა" ერთი შესანიშნავი თავდამსხმელი შეიძინა, 34 წლის არგენტინელი კლაუდიო კანიჯა. იგი „დანდიდან" იმიტომ გადაბარგდა, რომ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს.

ამ ორ შოტლანდიურ გრანდთან შედარებით დანარჩენი გუნდები, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო მოკრძალებულად გამოიყურებიან. „ჰიბერნიანის" მესამე ადგილი 66 ქულით სერიოზულ წარმატებად ითვლება. მეოთხე ადგილზე გავიდა „კილმარნოკი" (54), მეხუთეზე — „ჰართსი" (52), მეექვსეზე კი ჩვენთვის საინტერესო „დანდი" (47). ვნახოთ, როგორი იქნება მისი შედეგი მომავალ სეზონში.

ახლა „სელტიკი" და „გლაზგო რეინჯერსი" ჩემპიონთა ლიგისთვის ემზადებიან. „ისეთი დიდი კლუბი, როგორცი „სელტიკია", ამ შეჯიბრებაში კარგად უნდა გამოვიდეს" — ასე ფიქრობს მწვრთნელი მარტინ ო'ნილი.

ბივი თორელი

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

მეექვსე ბრაზილიელი „რომაში"

„რომამ" „ბოლონიისაგან" 5,76 მილიონ დოლარად შეიძინა 30 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველი ლიმა. მან უკვე რამდენიმე ქვეყანაში მოასწრო თამაში. 1999 წლიდან, თურქეთში და შვეიცარიაში გამოსვლის შემდეგ „ლეჩეში" ჩაირიცხა, საიდანაც უფრო ავტორიტეტულ „ბოლონიაში" გადავიდა.

საინტერესოა, რომ ლიმა უკვე მეექვსე (!) ბრაზილიელია იტალიის ჩემპიონის შემადგენლობაში, სადაც ირიცხებიან ალდაირი, ემერსონი, კაფუ, მარკო, ასუნსაო და ანტონიო კარლოსი ანუ ზაგო.

პოულობს და... პკარგავს

იმის გამო, რომ ესპანურმა „მალაგამ" ინტერტოტოს თასზე მონაწილეობაზე უარი განაცხადა, ეს უფლება „პარი სენ-ჟერმენს" მიენიჭა. ლუის ფერნანდესი შეეცადა ნუნუ გომეში ეყიდა, მაგრამ პორტუგალიელი „ლაციოში გადავიდა, ვერც ჟარდელის ყიდვიდან გამოვიდა რამე, მაგრამ სამაგიეროდ, „მალაგადან" ურუგვაელი დარიო სილვა იყიდა.

სამაგიეროდ, იკარგება საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი ლორან რობერი, რომელსაც „პარმაში" სურს გადასვლა.

ორი მთავარი მწვრთნელი კიევის ცსკა-ში

მას შემდეგ, რაც მიხაილ ფომენკოს მიერ მიღებული შედეგები კიევის ცსკა-ში არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალა, არმიული კლუბის მესვეურებმა გამოცდილი მწვრთნელი გაანთავისუფლეს. ახლა მიღებული ასეთი გადაწყვეტილება: კლუბს ორი მთავარი მწვრთნელი ეყოლება: წარსულში კიევის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ცნობილი ფეხბურთელები ვლადიმირ ბესონოვი და ოლეგ კუზნეცოვი.

როლის დაენევა რაული დი სტეფანოს?

იმ მოთამაშეთაგან, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩევიან ჩემპიონთა ლიგაში, აღნიშნავენ რაულ გონსალეს ბლანკოს. მას 28 გოლი აქვს გატანილი, მაგრამ როგორ შორსაა ეს მაჩვენებლები იმავე „რეალის" 50-60-იანი წლების განთქმულ თავდამსხმელ ალფრედო დი სტეფანოს შედეგებისაგან, რომელმაც 58 მატჩში 49 გოლი გაიტანა. ჩემპიონთა ლიგას ხომ დი სტეფანოს დროს ევროპის ჩემპიონთა თასი ერქვა.

სრულიად ახალგაზრდა რაული არა ჰკარგავს იმედს, რომ დი სტეფანოს გადაასწრებს: „ვაპირებ დავიკავო პირველი ადგილი ისეთი პრესტიჟული ტურნირის თავდამსხმელთა რეიტინგში, როგორიც ჩემპიონთა ლიგაა. ამისათვის მომავალ სეზონში ყველაფერს გავაკეთებ".

„მეგობრობის თამაშები"

54-47 — ასეთი ანგარიშით მოუგო ლატვიამ მეგობრულ ქვეყანას— ესტონეთს შეჯიბრება ფეხბურთში. დიახ, ამ ორ რესპუბლიკას შორის გაიმართა საფეხბურთო ზეიმი, სადაც სხვადასხვა დონის გუნდები 101 მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს!

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ესტონელი ლა ლატვიელი ხელოსნები, ლუდის მხდელები, ბანკირები, მესაზღვრეები, პოლიციელები, მძღოლები, მოჭადრაკეები, ჟურნალისტები, ციხის ზედამხედველებიც კი — დიახ, ყველა თამაშობდა ფეხბურთს! საინტერესოა, რომ მონაწილეთა შორის იყვნენ ესტონეთის პრემიერ-მინისტრი მარს ლაარი, განთქმული ბირთვისმკვრელი, ახლა ესტონეთის პარლამენტის დეპუტატი იური ტამი.

არის ერთი ქალაქი, სადაც ამ სახელმწიფოთა საზღვარი შუაზე გადის. ესტონეთში მას ვალგა ჰქვია, ლატვიაში კი ვალკა. ერთმანეთს შეხვდნენ ამ შუაზე გაყოფილი ქალაქის თვითმმართველობის გუნდები. ანგარიშით 11-1 გაიმარჯვეს ლატვიელებმა.

რა არის ეს „დარბაზის ფეხბურთი"?

დარბაზის ფეხბურთი, ანუ, როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, „ფუტზალი" გამოიგონა ურუგვაელმა პროფესორმა ხუან კარლოს სერიანიმ. დასაწყისში მას მხოლოდ სამხრეთ ამერიკაში თამაშობდნენ, სადაც 1955 წელს შეიქმნა ბრაზილიის, ურუგვაის, არგენტინისა და პარაგვაის ეროვნული ფედერაციები, 1965 წლიდან კი სამხრეთ ამერიკის პირველობებიც იმართება. თანდათან „დარბაზის ფეხბურთი" პოპულარული გახდა. 1971 წელს სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ინიციატივით, რომელსაც პორტუგალიამაც დაუჭირა მხარი, შეიქმნა „ფუტზალის" საერთაშორისო ფედერაცია — ფიფუსა. 80-იან წლებიდან სისტემატურად ტარდება მსოფლიო ჩემპიონატები.

რითი გამოირჩევა „ფუტზალი" მინი-ფეხბურთისაგან? დარბაზის ფეხბურთში დაშვებულია კონტაქტური თამაში და ფეხებში შეგარდნა, ბურთი უფრო მძიმეა, ისე კი, მოცულობით პატარა. ყველა დანარჩენი წესი არაფრით გამოირჩევა მინი-ფეხბურთისაგან. დიდი ფეხბურთიდან წასულ გამოჩენილი ფეხბურთელები, უმეტეს შემთხვევაში, „ფუტზალს" ამჯობინებენ.

სტადიონებზე მაგჩის დროს თამბაქოს მოწევა აიკრძალა

სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ მიიღეს დადგენილება 2002 წელს მსოფლიო ჩემპიონატის თამაშის მიმდინარეობისას სტადიონებზე თამბაქოს მოწევის აკრძალვის შესახებ. ეს გარემოს დაცვის სამინისტროს ინიციატივით მოხდა, რომელმაც მიმართა მთავრობას და თანხმობაც მიიღო.

ასეთ გადაწყვეტილებას ფიფამაც მხარი დაუჭირა და ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამაც. საინტერესოა, რომ ორგანიზატორები სხვა ღონისძიების განხორციელებასაც აპირებენ, კერძოდ, „სისუფთავის ხუთ წუთს" გამოაცხადებენ, როცა თამაშის დაწყების წინ თითოეულმა მაყურებელმა უნდა გასუფთაოს ადგილი, სადაც მისი სავარძელია ყოველგვარი ნაგვისაგან.

ორი კლუბი „სერია A-ში" პაბარა ვერონიდან

ვერონა, რომეოსა და ჯულიეტას ქალაქი, იტალიური მასშტაბებით, პატარაა, მაგრამ მას, ისტორიაში პირველად, მომავალი სეზონიდან „სერია A-ში" 2 კლუბი ეყოლება.

ჯერ ერთი, რის გაი-ნაჩრობით „ვერონამ" „რეჯინასთან" ორ დამატებით მატჩში წარმატებით „სერია A"-ში ადგილი შეინარჩუნა. მეორეც, „სერია B"-ში გაიმარჯვა ამავე ქალაქის აქამდე ნაკლებად ცნობილმა (ყოველ შემთხვევაში, იტალიის ფარგლებს გარეთ) კლუბმა „კიევომ".

კუპერი: „მე არავის ვაკაკვებ"

42 წლის ექტორ კუპერმა, ჩაიბარა თუ არა მილანის „ინტერი", განაცხადა, რომ ძალით არავის დაიკავებს, ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია კლუბი დატოვოს. „გუნდის ინტერესები პირად ინტერესებზე მაღლა უნდა იდგეს"...

კუპერის ეს განცხადება გამოიწვია კრისტიან ვიერის სურვილმა დატოვოს გუნდი, რადგან იგი „ინტერში" თავს ისე ვერ გრძნობს, როგორც სურს.

ამასობაში „ინტერმა" შეიძინა 31 წლის არგენტინელი მცველი ნელსონ ვივასი. მისი კონტრაქტი ლონდონის „არსენალთან" დამთავრდა, ვივასმა თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო და მასში იტალიური კლუბი არაფერს გადაიხდის. ახალი კონტრაქტი ორწლიანია. თითოეულ სეზონში ვივასის ხელფასი 1,32 მილიონი დოლარი იქნება.

ვივასს არგენტინის ნაკრებში 24 მატჩი აქვს ნათამაშევი. იგი მონაწილეობდა მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატში. გამოდიოდა „ბოკა სუნიორსში", შვეიცარიულ „ლუგანოსა" და ესპანურ „სელტაში", სადაც იგი „არსენალმა" იჯარის სახით გაანათხოვრა.

რას გამოასწორებს აგირე?

მექსიკის ნაკრებმა შარშან კონფედერაციის თასი კი მოიპოვა, მაგრამ ეს მისი უკანასკნელი წარმატება გამოდგა. წელს სამარცხვინოდ გამოდის მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში და კონფედერაციის თასზეც ძალზე უფერული შედეგები ჰქონდა.

ყოველივე ამან მთავარ მწვრთნელ ენრიკე მესის გადადგომა გამოიწვია. იგი ხავიერ აგირემ შეცვალა. 43 წლის აგირე ადრე კლუბ „პაჩუკაში" მუშაობდა, 1999 წელს ჩემპიონი რომ გახდა, წელს მეორე ადგილზე გავიდა. 1994 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე აშშ-ში აგირე მექსიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელის მიგელ მესია ბარონის თანაშემწე იყო. შემდეგ, როცა მთავარი მწვრთნელი მესა გახდა, მექსიკელებმა მისი ხელმძღვანელობით 19 მატჩიდან მხოლოდ ხუთი მოიგეს. საინტერესოა, რომ ბოლო ხანებში, მექსიკის ნაკრებმა ზედიზედ 5 მატჩი წააგო, მათ შორის კოსტა-რიკასა და ჰონდურასთან. ახლა აგირეს აუცილებელ პირობად უყენებენ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში წარმატებას (ამის ერთგვარი შესაძლებლობა ჯერ კიდევ არის). აგირემ უკვე დაიწყო შემადგენლობის გადახალისება და პირველივე ოფიციალურ, მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში აშშ-ის ნაკრები დაამარცხა — 1-0.

გოჩა კვლავ თამაშობს და გოლებიც გააქვს

საქართველოს ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი გოჩა გოგრიჭიანი, რომელსაც რუსეთის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონშიც უთამაშია და პირველშიც, ახლა მეორე დივიზიონის „ცენტრის" ზონაში გამოდის, ძლიერ კლუბ „ორიოლის" შემადგენლობაში, რომელსაც პირველ დივიზიონში გადასვლის პრეტენზია აქვს.

გოჩა კვლავ შედეგიანად თამაშობს და გოლებიც გააქვს.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

უიმბლდონის ტურნირის ირგვლივ

ალექსანდრე მეგრეველი ფავორიტების შესახებ

როგორც წესი, ბრძოლა უიმბლდონში ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო საინტერესო ხდება. ის, რაც პირველ წრეში მოხდა, ცხადია, კვლავ მთავარ სენსაციად რჩება. მართლაცდა, არ გინდა პირველ წრეში თვით მარტინა ჰინგისს მოუგო, მეორეში კი ლინა კრასნორუცკაიასთან (რუსეთი) წააგო? ასეა თუ ისე, ამის „ჩამდენი" ვირხნია რუანო-პასკალი (ესპანეთი) უკვე შევიდა ჩოგბურთის ისტორიაში. აღინიშნა ისიც, რომ ეს იყო სულ მეოთხე შემთხვევა, როცა პირველ ნომრად განთესილს მყისვე მოუხდა შეჯიბრების დატოვება. 1999 წელს ეს თვით ჰინგისს დაემართა, რომელმაც მაშინ მთლად ნორჩ ელენა დოკიჩთან წააგო. იგივე მოუვიდათ მარგარეტ სმით-კორტს (1962) და შტეფი გრაფს (1994).

მაინც ასეთი რა დაემართა მარტინა ჰინგისს? იგი აცხადებს, რომ მთელი კვირის განმავლობაში ზურგი ძალიან სტკიოდა და გამაყუჩებელი ჩხვლეტებიც დასჭირდა. „ტკივილი ცოტათი გამიყუჩდა, მაგრამ ძალების აღსადგენად დრო აღარ რჩებოდა. იმედი მქონდა, რომ ორიოდე დღის შემდეგ მაინც ჩვეულებრივი ძალით დავიწყებდი თამაშს. ისე კი, თავის მართლებას არ ვაპირებ. როცა ტურნირში თამაშს იწყებ, კი არ უნდა დაიჩივლო, არამედ უნდა ითამაშო". ამიტომ მარტინა დაუყოვნებლივ გაემგზავრა შვეიცარიაში, ახალი შეჯიბრებებისათვის მოსამზადებლად. ტურნირის მესამე წრეში რაიმე განსაკუთრებული მოულოდნელობა არ მომხდარა. ეს იყო, რომ ქალთა ასპარეზობას გამოაკლდა მეექვსე ნომრად განთესილი ამელი მორესმო (საფრანგეთი), ხოლო ვაქებს — რუსი ევგენი კაფელნიკოვი. ყველა დანარჩენი ფავორიტი ბრძოლას განაგრძობს.

მესამე წრის შემდეგ შეჯიბრების შესახებ თავისი აზრი გამოთქვა ალექსანდრე მეტრეველმა. იგი ქალთა შორის პირველი ადგილის ძირითად პრეტენდენტებად თვლის დებს ვენუს და სერენა უილიამსებს. მასზე ჯერჯერობით დიდ შთაბეჭდილებას არც ლინდსეი დევენპორტის თამაში ტოვებს და არც ჯენიფერ კაპრიატისა. ისევე, როგორც როლან გაროსში, კვლავ ჩინებულად იბრძვიან ახალგაზრდა ბელგიელები კიმ კლიისტერსი და ჟიუსტინ ჰენინი.

რაც შეეხება ვაქებს, მეტრეველს ჯერჯერობით განსაკუთრებით მოსწონს ანდრე აგასის თამაში, თუმცა, არც პიტ სამპრასის უგულებელყოფა შეიძლება. კომენტატორმა ძალიან შეაქო ავსტრალიელები პატრიკ რაფტერი და ლეიტონ ჰიუიტი, რომლებმაც დამაჯერებლად გაიმარჯვეს მესამე წრის შეხვედრებში.

მაყურებლების „ბლის მადა"

უიმბლდონის შეჯიბრება, როგორც ცნობილია, 14 დღე გრძელდება. ორგანიზატორების აზრით, მაყურებლები და მონაწილეები შთანთქავენ 23 ათას ბანანს, 30 ათას პაკეტ ჩიფსს, 59 400 გირვანქა მარწყვს, 135 ათას ნაყინის ულუფას, დაღლევენ 335 ათას ჭიქა ჩაის და 90 ათას კათხა ლუდს.

სამპრასი: უიმბლდონს კიდევ მრავალგზის ვეწვევი

უიმბლდონის შვიდგზის გამარჯვებულმა პიტ სამპრასმა უარყო ხმები ჩოგბურთისათვის თავის დანებების შესახებ. ეს ხმები გავრცელდა მას შემდეგ, რაც შეჯიბრების დაწყებამდე პიტ სამპრასმა თავის ძველ მეგობარს, გამოჩენილ ჩოგბურთელს, ახლა კი ტელეკომენტატორ ჯიმ კურიეს უთხრა: „კარგი იქნებოდა უიმბლდონის მოგება და დიდი სპორტიდან წასვლა".

ამის შემდეგ ჟურნალისტები ეკითხებოდნენ სამპრასს, როდის დადგებოდა ჩოგბურთისთვის თავის დანებების დრო. სამპრასი ახლა პასუხობს, რომ პენსიაზე გასვლის დრო ჯერ არ დამდგარა და უიმბლდონს კიდევ მრავალჯერ ეწვევა.

ჭადრაკი

ადამსი კვლავ პირველია

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ წელიწადში ორჯერ ცხადდება მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების სარეიტინგო ცხრილი. ამასთან, სულ ახლახან შემოიღეს რეიტინგების გამოთვლა იმ დიდოსტატებისათვის, რომლებიც სწრაფი ჭადრაკის შეჯიბრებებში მონაწილეობენ. ამ სიაში ახლა პირველ ადგილზე ინგლისელი მაიკლ ადამსია.

ადამსმა, როგორც სწრაფი ჭადრაკის დიდოსტატმა, თავისი რეპუტაცია ამ დღეებშიც დაამტკიცა მაინცში (გერმანია) დიდ საერთაშორისო ტურნირში (შვეიცარიული სისტემით, თერთმეტ ტურად) მან პირველი ადგილი დაიკავა ბრწყინვალე შედეგით — 9,5 ქულით. 9-9 ქულით დაასრულეს შეჯიბრება ვადიმ მილოვმა (შვეიცარია) და ოლეგ ეისმონტმა (გერმანია), ამასთან, მეორე ადგილი მილოვს მიეკუთვნა. საინტერესოა, რომ შეჯიბრების პირველი ნახევრის შემდეგ ზედიზედ 5 მოგებით პირველ ადგილზე იყო მოსკოველი დიდოსტატი ალექსანდრ მოროზევიჩი, მაგრამ სუსტმა ფინიშმა იგი ერთბაშად გადასტყორცნა... მეოცე ადგილზე.

მრბოლები მრბოლებად, მანქანები • „ფორმულა-1"

იაგუარი



ოფიციალური სახელწოდება იაგუარ რეისინგი (Iaguar Racing, 1997-1999 წლებში „სტიუარტის" მარკით გამოდიოდა). შასი: იაგუარ R2 (Iaguar R2), ძრავა: კოსუორატ CR3 (Cosworth CR3), საბურავები: მიშენ (Michelin), დებიუტი „ფორმულა-1"-ში: 2000 წლის 12 მარტი, ავსტრალიის „გრან-პრიზე". მონაწილეობა „გრან-პრიში": 17-ჯერ (თითო მე-4 და მე-6 ადგილი): გამარჯვება — 0, პოულ-პოზიშნი — 0, უსწრაფესი წრე — 0.

კონსტრუქტორების თასი: არა. საუკეთესო ადგილი მე-9 (2000). ჩემპიონის ტიტული: არა.

მირანდი

ოფიციალური სახელწოდება: ეუროპიენ მირანდი F1 (European Minardi F1). შასი: მირანდი PSO1 (Minardi SO1). ძრავა: ეუროპიენ №10 (European V10). საბურავები: მიშლენ (Michelin). დებიუტი „ფორმულა-1": 1985 წლის 12 მარტს „გრან-პრი" ბრაზილია. „გრან-პრიში" მონაწილეობა: 254-ჯერ, გამარჯვება — 0, პოულ-პოზიშნი — 0, უსწრაფესი წრე — 0. კონსტრუქტორთა თასი — არა. საუკეთესო ადგილი მე-7 (1991). ჩემპიონის ტიტული — არა.

პროსტი



ოფიციალური დასახელება: პროსტ ეისერი (Prost Acer), (1976-1996 წლებში „ლიეჟის" მარკით გამოდიოდა). შასი: პროსტ (Prost APO4). ძრავა: ეისერ V10 (Acer V10). საბურავები: მიშელენი (Michelin). დებიუტი „ფორმულა-1"-ში: 1997 წლის 9 მარტი „ავსტრალიის გრან-პრიზე", „გრან პრიში" მონაწილეობა: 66-ჯერ — გამარჯვება — 0, პოულ-პოზიშნი — 0, უსწრაფესი წრე — 0. კონსტრუქტორთა თასი: არა, საუკეთესო ადგილი — მე-6 (1997), ჩემპიონის ტიტული: არა.

ვინ ვინაა

ჯეკსონ ბატონი

დაიბადა 1980 წლის 19 იანვარს ფრუმში (სომერსტი, დიდი ბრიტანეთი). კარტინგში ევროპის „სუპერფორმულა-A" (1997), ჩემპიონი ბრიტანეთის „ფორმულა-ფორდ"-ის (1998) ჩემპიონი, ბრიტანეთის „ფორმულა-3"-ში მე-3 ადგილი. დებიუტი „ფორმულა-1"-ში: „ავსტრალიის გრან-პრიზე" (12.03.2000), გუნდები: „უილიამსი" (2000), „ბენეტონი" (2001). საუკეთესო მიღწევა: მე-8 ადგილი ჩემპიონატში (2000). მონაწილეობდა 17 რბოლაში: საუკეთესო ადგილი მე-4 (გერმანია-2000). სულ დააგროვა 12 ქულა. უცოლშვილოა.

ჯანკარლო ფიზიკელა



დაიბადა 1973 წლის 14 იანვარს, რომში (იტალია). დებიუტი „ფორმულა-1"-ში: „ავსტრალიის გრან-პრიზე" (1996 წლის 10 მარტს). გუნდები: „მინარდი" (1996), „ჯორდანი" (1997), „ბენეტონი" (1998-2001). საუკეთესო მიღწევა მე-6 ადგილი ჩემპიონატში (2000), მონაწილეობდა 74 რბოლაში: 8 პოდიუმი, 1 პოულ-პოზიშნი, 2 სტარტი პირველ რიგში, 1 უსწრაფესი წრე. სულ დააგროვა 67 ქულა. ცხოვრობს მონტე-კარლოში. მეუღლე — ლუნა, ჰყავს ერთი ქალიშვილი.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

3 ივლისი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ჩვენი ფეხბურთი (14.05), ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (10.45, 20.00). ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***TV6.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (1.50), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (12.30, 20.00), სპორტის ახალი ამბები (19.30, 22.30, 01.30, 05.30). ***EUROSPORT.*** ნიჩბოსნობა. მსოფლიო თასი (16.30), ფეხბურთი: ქალთა ევროპის ჩემპიონატი (14.30), ერთი მსოფლიო – ერთი თასი (16.00), ძიუდო. საერთაშორისო ტურნირი (17.30). სუმო, უძლიერესთა ტურნირი (19.30). მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (21.30), ***HTB плюс футбол.*** იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი, მეოთხედფინალი (13.15), განვლილი სეზონის გახსენება – ჩემპიონატები: ჰოლანდიის „ფეიენოორდი" – პსვ (17.15), გერმანიის, „ჰერტა" – „ბავარია" (19.25), იტალიის, „ინტერი" – „იუვენტუსი" (21.40). ჩემპიონთა ლიგა – „სპორტინგი" – „რეალი" (23.40), ***HTB плюс спорт.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (11.40, 17.00), „ბილიარდის მეფეები" (15.10), სპიდვეი. მსოფლიო თასი (0.30).

4 ივლისი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ფეხბურთი. 20 წლამდე ასაკის მსოფლიო ჩემპიონატი (21.55, 0.40, ნახევარფინალი). ***II არხი.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (19.55). ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (10.45, 20.30), მე-9 არხი. ევროპის სტადიონებზე (20.00). ***ESPN.*** სპორტის ახალი ამბები (19.45, 22.30, 01.30, 05.30). ***EUROSPORT.*** მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება (11.30, 16.30, 22.30, 3.15), ოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (13.00). ძიუდო. საერთაშორისო ტურნირი (14.00), ფეხბურთი. ქალთა ევროპის ჩემპიონატი (18.00, 20.00, 20.30). ***HTB плюс футбол.*** განვლილი სეზონის გახსენება – ჩემპიონატები: ჰოლანდიის „ფეიენოორდი" – პსვ (13.15), გერმანიის, „ჰერტა" – „ბავარია" (15.30), იტალიის „ინტერი" – „იუვენტუსი" (17.15), ესპანეთის, „ბარსელონა" – „რეალი" (19.35). იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი (21.55, 0.40, ნახევარფინალი). ***HTB плюс спорт.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (11.40, 17.00), კიკბოქსინგი. პროფესიონალთა მატჩი (15.10). ტაილანდური კრივი (0.00).

5 ივლისი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (17.00, პირდაპირი), ***II არხი.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (19.55). ***რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი. (10.45, 20.00). ***TV6.*** უიმბლდონის ტურნირი. (0.55). ***ESPN.*** სპორტის ახალი ამბები (17.00, 22.30), 01.30, 05.30). ***EUROSPORT.*** მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება (11.30, 18.00), ფეხბურთი. ქალთა ევროპის ჩემპიონატი (16.30). ფეხბურთი: საერთაშორისო ტურნირი (20.30, 22.30, 3.15), ჩემპიონთა ლიგა (0.30, 1.00). ***HTB плюс футбол.*** იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი (13.15, 15.30). განვლილი სეზონის გახსენება – ჩემპიონატები: ესპანეთის „ბარსელონა" – „რეალი" (17.15), შოტლანდიის, „სელტიკი" – „გლაზგო რეინჯერსი" (19.20), მსოფლიო ფეხბურთი (22.10), ჩემპიონთა ლიგა: „ბარსელონა" – „ლიდსი" (22.40). არგენტინის საფეხბურთო გეოგრაფია (0.55). ***HTB плюс спорт.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (11.40, 17.00). ტაილანდური კრივი 15.00). სპიდვეი. მსოფლიო თასი (23.45).

ანანდი – კრამნიკი 6,5:5,5

ინდოელმა დიდოსტატმა ვიშვანათან ანანდმა 5-დღიან მატჩში სწრაფ ჭადრაკში ვლადიმერ კრამნიკი დაამარცხა. სულ მეტოჭეებს უნდა ეთამაშათ 10 ბლიც პარტია. ბოლო დღის წინ ანგარიში იყო 4-4, მაგრამ IX და X პარტიები ყაიმით დამთავრდა. საჭირო გახდა 2 დამატებითი პარტიის გათამაშება. ანანდმა ჯერ მოიგო, შემდეგ კი ყაიმი დაფიქსირდა.

„ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ტელერადიო კორპორაციის თავმჯდომარის მოადგილისა და მეორე არხის გენერალური დირექტორის ზაზა დარასელიზ გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

კროსვორდი № 51 • შვრეული

თარაგულად: 3. ბანქოს ერთგვარი აზარტული თამაში, 6. ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი (1924 წ) ქალაქი, 8. პატარა სარწყავი არხით გამავალი წყალი, 9. რაიონი სამეგრელოში, 10. მსოფლიოს ექსჩემპიონი ვაჟი ჭადრაკში, 11. ხაზგარეთ გასული ბურთის მოწოდება, 14. ბიბლიური ქალის სახელი, 15. თბილისის „დინამოს" ყოფილი მთავარი მწვრთნელი 60-იანი წლების პირველ ნახევარში, 18. სატურნირო ტერმინი ჩოგბურთში, 19. ვეტერანი პორტუგალიელი ფეხბურთელი, 20. ილეთი ჭიდაობაში.

შვეულად: 1. მგოსანი, რომელიც საკრავზე ამღერებს თავის ლექსებს, 2. საფარიკაო იარაღი, 4. ქართველი ძალოსანი, ოლიმპიური ჩემპიონი, 5. ავტომატური მანქანა, რომელიც ასრულებს რთულ ოპერაციებს, 7. გიორგი საკაძის სოფელი, 12. ოთახი პატიმრებისთვის, 13. პერსონაჟი ქალი „დათა თუთაშხიადან", 16. გამარჯვების ქალღმერთი. 17. თურქი ფეხბურთელი.

კროსვორდი №50 • პასუხები:

ჰორიზონტალურად: 6. ჭიში, 7. სხირტლაძე, 9. ლენტი, 10. უშნო, 11. ფორტე, 12. კოპა, 14. ფალკაო, 15. ანდრე, 16. რა, 17. ია, 19. პროსტი, 20. როა, 21. ინსაიდი. **შვეულად:** 1. ჩიმიშვიანი, 2. ბირპოფი, 3. თხა, 4. კროშე, 5. დელტოპლანი, 8. „სარკე", 12. კოლონია, 13. აფრა, 18. ობი.

საჭადრაკო პოზიცია

ჯემალ მახათაძე
(ზესტაფონი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლg3! მუქარა 2. ლc3X.
1. ...e3 2. ლd6X. 1. ...მgc5 2. ლe5X.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლ ლოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონ. შვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.